ქართველობის გადასარჩენად

ილორი

«ის კი არაა სირცხვილი, რომ მეგრულად საუბრობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენ ქართველებს არ გვესმის მეგრული», — აკაკი შანიძე.

№442 (501) 19 დეკემბერი 2018 წ. – 15 იანვარი 2019 წ. სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» ორგანო

გილოცავთ შობა-ახალ წელს!

დავიწყებას არ ექვემდებარება

4

ზვიად გამსახურდია:

მმართველები მოდიან და მიდიან, ქვეყანა კი რჩება

8



რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

11

გური ოტობაია

ილია

ეპიკური პოემა

6



23 პრობლემა, რომლის მოგვარებასაც ზუგდიდის მერია ახალი წლიდან გეგმავს

3

ნახვანა – ზუგდიდელ სტუდენტს მეგრული «ჩიფსის» გაკეთების იდეა აქვს

2

ანაკლიის პორტის მშენებლობის პირველი წლის ანგარიში

10



ნახვაწა – ზუგდიდელ სტუდენტს მეგრული «ჩიფსის» გაკეთების იდეა აქვს

ზუგდიდელმა სტუდენტმა, ლაშა კვარაცხელიამ „მეგრული ჩიფსის“ — ნახვაწას დამზადებისა და დაფასოების იდეა წარადგინა. საქართველოს უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტმა სემესტრული ნაშრომი თანაკურსელებს და ლექტორს გააცნო, რომელმაც იდეა მოიწონა და სოციალურ ქსელში გააზიარა. მეგრული, ჯანსაღი სასუსნავის შექმნის იდეა ფეისბუკის მომხმარებლებმაც მოიწონეს და მალევე გახდა პოპულარული.

ნახვაწა ღომის ქერქია. ითვლება, რომ ის რჩება კარგად მომზადებული ღომისგან. სამეგრელოში ნახვაწას ხშირად მიირთმევენ, როგორც სასუსნავს.

ლაშა კვარაცხელია აცხადებს, რომ ღომისგან მომზადებული ეს პროდუქტი ეკოლოგიურად სუფთა და დაბალკალორიულია, რაც მას სხვა ჩიფსებთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. ამასთან, თემაზე მუშაობისას ლაშამ მოიკვლია მცენარე ღომის შემადგენლობაც და დაადგინა, რომ მისი რძე განსაკუთრებით სასარგებლოა.

სტუდენტი გეგმავს ნახვაწის დაფასოების იდეა სტარტაპში წარადგინოს, შემდეგ კი რეალობადაც აქციოს.

„ჩვენი პროდუქტი დაანგრევს სტერეოტიპს, რომ ჩიფსი ვნებს ორგანიზმს. რადგან ჩვენი პროდუქტის მთავარი ინგრედიენტი — ღომი, ძალიან პოპულარული კერძია საქართველოში და მას სამეგრელოში სამკურნალოდ, ხშირად დიეტის დროსაც იყენებენ. ღომის რძე — ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინგრედიენტი, რომელსაც ჩვენი პროდუქტი შეიცავს. ღომის რძე ხელს უშლის ნაბახუსევის განვითარებას და ორგანიზმში არსებულ ალკოჰოლს ანეიტრალებს“, — განმარტავს იდეის ავტორი ავტორი.

„მეგრული ჩიფსის“ კიდევ ერთ უპირატესობად სტუდენტი მის უძველეს რეცეპტს მიიჩნევს, რადგან ითვლება, რომ ძველ სამეგრელოში ნახვაწას აქტიურად მოიხმარდნენ. ახალი ჩიფსის ავტორს, პროდუქტის სარეკლამო სლოგანიც აქვს შემუშავებული - „ეზიარე ტრადიციულ გემოს“. მან ასევე დაამზადა შეფუთვის დიზაინი. ახლა ლაშა კვარაცხელიას ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იდეის რეალობად ქცევაა.

აფხაზეთში მანდარინის საკრეფად აფრიკელი სტუდენტები ჩავიდნენ

აფხაზეთში მანდარინის კრეფის სეზონი აქტიურ ფაზაშია. მხოლოდ გულრიფშის ცისტურსების მეურენობამ რუსეთში 400 ტონადმე მანდარინი გაიტანა, საახალწლოდ კიდევ 250 ტონის გატანა იგეგმება, წერს ინტერნეტგამოცემა „აიარა“.

გულრიფშის მანდარინის პლანტაციებზე, როგორც ახლომდებარე სოფლების მცხოვრებლები, ასევე რუსეთის სხვადასხვა ქალაქიდან, დონეცკისა და ლუგანსკის რესპუბლიკებიდან ჩამოსული მოქალაქეები მუშაობენ. გამოცემის ცნობით, წელს მანდარინის კრეფაში კოტდ-ივუარიდან ჩამოსული სტუდენტებიც იღებენ მონაწილეობას.

მეურნეობის მიმღები პუნქტის ხელმძღვანელის სლავიკ ანქვაბის ცნობით, წელს აფხაზეთში მოსავალი უხვი და მაღალხარისხიანია.

კარასინი: არჩევნების შემდეგაც არ შეცვლილა თბილისის პოზიცია აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში

საქართველოს მტრული რიტორიკა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში არ შეცვლილა არჩევნების შემდეგაც, განაცხადა „რია ნოვოსტისთან“ საუბარში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიის მორიგი რაუნდის დასრულების შემდეგ.

„საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. ჩვენ გვქონდა იმედი, რომ ამის შემდეგ მაინც შესუსტდებოდა თბილისის მტრული რიტორიკა. გულწრფელად ვიტყვი, რომ ეს იმედები არ გამართლდა. საქართველოს ახალი წარმომადგენელი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან ლაშა დარსალია კვლავინდებურად ძველ პრინციპებს იცავს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების არაღიარების პრინციპებს, რუსეთის დადანაშაულებას ოკუპაციაში და იმაში თითქოს არ შეასრულა 2008 წლის შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულებები“, — განაცხადა გრიგორი კარასინმა.

მანამდე რუსეთმა პროვოკაციული უწოდა ნატოს გენერალური მდივნის და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის განცხადებებს ნატოში საქართველოს გაწევრიანების მხარდაჭერის შესახებ. იენს სტოლტენბერგის და მაიკ პომპეოს პოზიცია პროვოკაციადაა შეფასებული რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, რომელიც ეხება ჟენევის საერთაშორისო დისკუსიის 46-ე რაუნდს.

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიის 46-ე რაუნდზე, რომელიც 11-12 დეკემბერს ჩატარდა, რუსეთის და ოკუპირებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონების დე ფაქტო მთავრობების წარმომადგენლებმა კვლავ უარი თქვეს დევნილთა დაბრუნების საკითხის განხილვაზე. დისკუსიის მომდევნო რაუნდი 2019 წლის 2-3 აპრილს გაიმართება.

საფლავის გათხრისას ნაპოვნი მონეტები, გასულ საუკუნეში სავარაუდოდ მღვდელმა გადამალა

მონეტები, რომლებიც მარტვილის რაიონის სოფელ ბანძაში საფლავის გათხრისას აღმოაჩინეს, სხვადასხვა საუკუნით თარიღდება. ზოგიერთი მეშვიდე, ზოგიც შუა და მეათე საუკუნეს განეკუთვნება. გვხდება თურქული მონეტებიც, - აცხადებს მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი, გივი ელიავა. ამბობს, რომ მან მხოლოდ 18 მონეტა ნახა, რომელიც დღეს უკვე საქმის გამოძიებისთვის პოლიციაში ინახება. გივი ელიავას განმარტებით, სავარაუდოდ 50-ზე მეტი მონეტა კი დაკარგულია.

მღვდელი ანტონ კეკელია შვილიშვილებთან ერთად

„სავარაუდოდ საქმე გვაქვს ეკლესიის საგანძურთან, რომელიც ბანძის მღვდელმა ანტონ კეკელიამ მაშინ გადამალა, როცა ტაძარს დანგრევა-განადგურების საშიშროება დაემუქრა“.

გივი ელიავა ყვება, რომ მღვდელმა მონეტები ტრაპეზის ქვასთან ერთად გადამალა, რადგან გათხრისას სწორედ ამ ქვის ქვეშ იპოვეს მონეტებით სავსე თიხის ქოთანი. მუზეუმის დირექტორის ვარაუდით, საგანძურს ანტონ კეკელია თავის დროზე ქველმოქმედებისთვის იყენებდა. მისივე სიტყვებით, იმ დღეს, როცა მონეტები აღმოაჩინეს, სწორედ მღვდლის შვილიშვილი დაკრძალეს.

„მე მივედი ოჯახშიც და იმ ქალთან, ვისთანაც ჩააბარეს. დამითმეს, საფასურის გარეშე გადმომცეს, რადგან მუზეუმიდან ვიყავი. ოჯახმა კეთილი ნება გამოიჩინა. მათაც დამიბრუნეს. რაც იმ ქალბატონმა ჩაიბარა, არ მეუბნება რამდენი ცალი იყო. მხოლოდ ის მითხრა, რომ იყო 140 გრამი. სავარაუდოდ ეს 50 მონეტაზე მეტია, რომელიც დაკარგულია“, — განმარტავს გივი ელიავა.

მუზეუმის დირექტორის თქმით, ეს არ არის მხოლოდ ოქრო და ფულის ნომინალი, ეს არის ისტორია, რომელიც არ უნდა დაიკარგოს.

საბოლოოდ, მონეტები მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში უნდა გამოიფინოს. ოღონდ მას შემდეგ, რაც გამოძიება დასრულდება.

მარტვილში საფლავის გათხრისას ოქროს და ვერცხლის მონეტებით სავსე თიხის ქოთნის შესახებ ინფორმაცია შსს-მ 10 დეკემბერს გაავრცელა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-მუხლით მიმდინარეობს, რაც ნივთის ფარულად დაუფლებას გულისხმობს.

სამინისტროს ცნობით, მპოვნელებმა მონეტების ნაწილი ოჯახს გადასცეს, დანარჩენი კი ქუთაისში, თანხის სანაცვლოდ ჩააბარეს.

სვანეთში ჰესების მშენებლობის მოწინააღმდეგეებმა აქცია თბილისში გამართეს

ლენტეხისა და მესტიის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ჰესების მშენელობის საწინააღმდეგო აქცია გამართეს, თბილისში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შენობასთან. ისინი მოითხოვენ ბანკმა შეწყვიტოს ხეობაში ჰესების მშენებლობის დაფინანსება.

ლენტეხის რაიონის სოფელ ხელედის მკვიდრის ჯუმბერ გაზდელიანის თქმით, ისინი ეწინააღმდეგებიან ხელედის ხეობაში ჰესის — „ხელედურა 1“-ის მშენებლობას, ვინაიდან ჰესის მშენებლობა საფრთხეს უქმნის ადგილობრივ ეკოლოგიას და მოსახლეობის საკუთრებას.

გამაფრთხილებელი აქციის ორგანიზატორებმა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში 2 ათასი ხელმოწერაც მიიტანეს, განცხადებაზე ხელმომწერები, აქციის მონაწილეთა მოთხოვნებს იზიარებენ.

ხობის მერიის თანამშრომლებზე 30 ათას ლარამდე დანამატი გაიცა

ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან 25 იანვრის ჩათვლით ფულადი დანამატი, ჯამში 29 ათას 603 ლარის ოდენობით გაიცა. ანაზღაურება გაიცა სულ 47 თანამშრომელზე. მათ შორის არიან, როგორც სამსახურის და განყოფილებების უფროსები, ასევე სხვადასხვა რანგის სპეციალისტები.

საჯარო ინფორმაციის საფუძველზე დაყრდნობით, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ზვიად ბუკიამ ფულადი დანამატი საანგარიშო პერიოდში 4-ჯერ მიიღო, 2 ათას 416 ლარის ოდენობით, დამატებითი ფუნქციის შესრულებისთვის.

შვიდჯერ მიიღო დანამატი საქმის წარმოების განყოფილების უფროსმა რალა არაჩემიამ, სულ 1 677 ლარი. მიზეზი მოხელის არყოფნის დროს მოვალეობის შესრულება გახდა.

ამდენივეჯერ მიიღო თანხა პირველი კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა სალომე ცხადაიამ. მათ შორის, საჯარო მოხელეზე თანხა გაიცა 19, 38 და 93 ლარის მოცულობით.

საფინანსო ზედამხედველობისა და ბუღალტერიის განყოფილების უფროსმა ციური ხელაძემაც შვიდჯერ მიიღო ფულადი ჯილდო — 637 ლარი.

შვიდჯერ გაიცა ფულადი თანხა მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების უფროს მარინა რუხაძეზე. მათ შორის ერთხელ 1100 ლარის ოდენობით. ჯამში — 1578.

ამდენჯერვე მიიღო ფულადი დანამატი ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების განყოფილების უფროსმა შორენა ძაძამიამ — 744 ლარი. მიზეზი ამ შემთხვევაშიც მოხელის არყოფნის დროს მოვალეობის შესრულებაა.

ერთხელ მიიღო დანამატი ხელფასზე 15-მა საჯარო მოხელემ, სულ 4 ათას 834 ლარის ოდენობით.

არის შემთხვევები, როცა ორი თვის ფულადი ჯილდო ას ლარზე ნაკლებია, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ცალკეულ საჯარო მოხელეზე გაცემული ერთი თვის ჯილდო 500, 800 და 850 ლარია.

არის მაგალითები, როცა პირველი კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა ლამზირა თოდუამ ფულადი ჯილდო — 30 ლარი მიიღო, ამავე კატეგორიის პირველი კატეგორიის სპეციალისტმა მანანა კუკავამ 36 ლარი.

«თამბაქოს კონტროლის ალიანსის» ინფორმაციით, 7 თვეში სასწავლო დაწესებულებების 10%-ში თამბაქოს მოხმარების ფაქტები დაფიქსირდა

პირველი მაისიდან პირველ დეკემბრამდე სასწავლო დაწესებულებების 10%-ში თამბაქოს მოხმარების ფაქტები დაფიქსირდა. შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები არასამთავრობო ორგანიზაცია „თამბაქოს კონტროლის ალიანსმა" ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული თამბაქოს კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი თამბაქოს კვამლისგან 100%-ით თავისუფალი დაწესებულებების დაჯილდოების ღონისძიებაზე წარმოადგინა.

მათივე მონაცემებით, თამბაქოს მოხმარების ფაქტები სამედიცინო დაწესებულებების 5%-ში, საჯარო დაწესებულებების 4%-სა და სამასპინძლო ბიზნესის 2%-ში გამოვლინდა. როგორც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა, ლელა სტურუამ დაჯილდოების დაწყებამდე ჟურნალისტებს განუცხადა, საანგარიშო პერიოდში „თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონის" აღსრულება 95%-ია, თუმცა დეკემბრის თვეში მონიტორინგის გაძლიერება იგეგმება.

„დიდი რაოდენობით დაწესებულებები შემოწმდა. მაგალითად, ისეთი, როგორიც არის: სამასპინძლო ბიზნესი, ჩვეულებრივი ოფისები, საჯარო დაწესებულებები, სილამაზის სალონები და ა.შ. შეგვიძლია, ვთქვათ, რომ დაახლოებით, 95%-ია კანონის აღსრულების მაჩვენებელი, თუმცა სამწუხაროდ, ჩვენ ყველაფერი არ შეგვიმოწმებია. რაც შევამოწმეთ იქაც არის გარკვეული დარღვევები, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ეს დარღვევები უფრო მცირდება, რაც კანონის აღსრულების სხვადახვა ეტაპი განხორციელდა. ვინაიდან, ახლა ზამთრის სეზონია, გვაქვს საშიშროება, რომ აღსრულების ნაწილი ცოტა არ მოდუნდეს და ადამიანებმა თამბაქოს მოხმარებისთვის გარეთ გასვლა არ დაიზარონ. ამიტომ ჩვენ მონიტორინგს გავაძლიერებთ და გავაგრძელებთ. მინდა, დავაანონსო, რომ დეკემბერში განსაკუთრებით გაძლიერებული მონიტორინგი გვექნება. ამის მიზეზი დეკემბრის თვეში არსებული მოლოდინია, რომ შესაძლოა, კანონმორჩილება შემცირდეს. ისეთ სამასპინძლო დაწესებულებებს, სადაც სიგნალები გვაქვს, რომ დარღვევა ფიქსირდება, დეკემბერში კიდევ ერთხელ აუცილებლად შევამოწმებთ და როგორც სამოქალაქო საზოგადოების წევრები, დავუკავშირდებით 112-ს", — განაცხადა ლელა სტურუამ.

ცნობისთვის, კანონი „თამბაქოს კონტროლის შესახებ" 2018 წლის პირველ იანვარს ამოქმედდა.

23 პრობლემა, რომლის მოგვარებასაც ზუგდიდის მერია ახალი წლიდან გეგმავს

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია გეგმავს „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" სამოქალაქო საბჭოების მიერ გამოვლენილი 43 პრობლემიდან 23 მოაგვაროს. ესენია:

1. გზის საფარის მოასფალტება და სანიაღვრე არხების რეკონსტუქცია კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩაზე. ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის მიმდებარედ.

2. სრულად ამორტიზებული გზის შეკეთება თამარ მეფის ქუჩაზე, რომელიც ზუგდიდის ცენტრთან რამდენიმე სოფელს აკავშირებს.

3. ენგურქაღალდკომბინატის დასახლებაში, სპორტული კომპლექსის მიმდებარედ განთავსებული ბავშთა გასართობი მოედნის კეთილმოწყობა.

4. ზუგდიდში, ც. დადიანის 1-3 კორპუსებს შორის არსებული ბავშთა გასართობი მოედნის კეთილმოწყობა.

5. აშენდება ახალი საბავშვო ბაღი სოფელ ჯუმში.

6. სოფელ დიდინეძში შეკეთდება შიდა გზები.

7. სოფელ ნარაზენში აშენდება ახალი ამბულატორია.

8. სანიაღვრე არხების რეკონსტრუქცია სოფელ ახალაბასთუმანში.

9. სოფელ ახალაბასთუმნის ავარიული საბავშვო ბაღის რემონტი.

10. ასევე სოფელ ახალაბასთუმანში ამჟერად არსებული ამორტიზებული ამბულატორიის ნაცვლად აშენდება ახალი.

11. სოფელ კახათში ასევე ავარიული ამბულატორიის ნაცვლად აშენდება ახალი.

12. სოფელ კახათში დაზიანებული შიდა გზები შეკეთდება.

13. საზოგადოებრივი ტუალეტის მოწყობა ტურისტულად აქტიურ ანაკლიაში.

14. სანიაღვრე არხების მშენებლობა ანაკლიაში.

15. შიდა გზების და სანიაღვრე არხების რეკონსტრუქცია სოფელ ახალკახათში.

16. სანიაღვრე არხების მოწყობა სოფელ ინგირში.

17. საავტომობილო გზების დეპარტამენტი გზას შეაკეთებს სოფელ ინგირში.

18. ზებრა-გადასასვლელების მოწესრიგება გადაღებვა, სიჩქარის შემზრუდავი ბარიერების დამონტაჟება ქალაქში.

19. ახალკახათის ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდის განახლება.

20. დადიანების სასახლის მიმდებარედ ატრაქციონების რეკონსტრუქცია.

21. ნაგვის ურნების დამატება სოფელ ახალაბასთუმანში.

22. ნაგვის ურნების დამატება სოფელ დიდინეძში.

23. ანაკლიის ზღვის სანაპიროს დასუფთავება.

ამჟერად, 2019 წლის გეგმაში ვერ მოხვდა ისეთი მოთხოვნები, რომელთა მოგვარებაც დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ავტობუსების პარკირების განახლება, ენგურქაღალდკომბინატის დასახლებაში დაჭაობებული ტერიტორიის დაშრობა და კეთილმოწყობა, ასფალტის საფარის დაგება და სანიაღვრე არხების კეთილმოწყობა სამეგრელოს ქუჩაზე, დევნილთა დასახლებასთან სკვერის აშენება, გარე განათების სისტემის დამონტაჟება შიდა ქუჩებში და ნაპირსამაგრი ნაგებობების აღდგენა, როგორც მდინარე ენგურზე, ასევე შავი ზღვის სანაპიროს გარკვეულ მონაკვეთებში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ" მიმდინარე წლის ნოემბერში მერიას მიაწოდა ინფორმაცია სამოქალაქო საბჭოების მიერ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ. ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ მიესალმებიან და მადლობას უხდიან ზუგდიდის მერიას მიღებული გადაწყვეტილებისათვის. ამასთან აცხადებენ, რომ პრობლემების მოგვარების პროცესს მონიტორინგს გაუწევენ და შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაციას პერიოდულად გაავრცელებენ.

მარტვილში იუსტიციის სახლი გაიხსნა

მარტვილში რიგით ოცდამეერთე იუსტიციის სახლი მინისტრმა თეა წულუკიანმა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორთან, ალექსანდრე მოწერელიასა და პარლამენტის დეპუტატთან, ოთარ დანელიასთან ერთად საზეიმოდ გახსნა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ცნობით, მარტვილის ადგილობრივი მოსახლეობა სახელმწიფო და კერძო სექტორის 400-ზე მეტი სერვისის მიღებას შეძლებს. იუსტიციის სახლთან ერთად მარტვილში ქორწინების სარიტუალო სახლიც გაიხსნა.

ღონისძიების ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ, იუსტიციის სახლის გახსნის აღსანიშნავად კონცერტი გაიმართა, გასართობი ღონისძიებები მოეწყო ბავშვებისათვის, საღამო კი — ფოიერვერკით დასრულდა.

მარტვილის იუსტიციის სახლი, ბოლო წლების განმავლობაში, აშენებული მეცხრე ფილიალია. 2013 წლიდან დღემდე გაიხსნა ზუგდიდის, ფოთის, იუსტიციის სახლები, უახლოეს პერიოდში კი, გუბერნიის ინფორმაციით, კიდევ ერთი ფილიალი, სენაკში გაიხსნება.

დავიწყებას არ ექვემდებარება

1992 წლის დეკემბრის დავიწყება თითქმის წარმოუდგენელია ყოველი ქართველისათვის. ამ წელს საქართველოში სამოქალაქო ომი დაიწყო, ძმათა მკვლელი ომი... გთვაზობთ, ამონარიდებს 1998 წელს გამოცემული წიგნიდან „დავიწყებას არ ექვემდებარება“, რომლის ავტორებიც არიან: ვალერი კვარაცხელია, იგორ კვესელავა, გრიგოლ ჟვანია.

1992-1993 წლებში სამეგრელოში დატრიალებული ტრაგედია, რასაც, — როგორი სარკაზმიც არ უნდა იყოს, — სახელმწიფოს მიერ რეგიონში „წესრიგის დასამყარებელი ღონისძიება“ ერქვა, სინამდვილეში გაუგონარი ბარბაროსობა იყო, კრიმინალურ ბანდფორმირებათა მიერ ქართველი ხალხის, უფრო სწორად, საქართველოს უძველესი და განუყოფელი კუთხის — სამეგრელოს წინააღმდეგ მიმართული და ჩადენილი. საქართველოს ისტორიის ეს შავი ლაქა, მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა კვლევის საგანი უნდა იყოს დიდხანს, რადგან თუ სწორედ მეცნიერულად ვერ ავხსენით ეს მოვლენა, მხოლოდ პოლიტიკური შეფასება ამ უცნაური ფაქტისა საკმარისი ვერ იქნება. ცხადია, ამ მცირე მოცულობის ნაშრომში ასეთ ამოცანას არ ვისახავთ. ჩვენი მიზანია, ზოგიერთი კონკრეტული ფაქტის ჩვენებით და გარკვეული განზოგადებით, თვალსაჩინო გავხადოთ ის სავალალო მდგომარეობა, რომ თურმე ჩვენში ჯერ კიდევ არაა ბოლომდე აღმოფხვრილი კუთხურობა და გათიშულობა; თურმე მავანთა მეცადინეობას შეუძლია ისე გააღვივოს ეს მომენტები, ზოგიერთ გადაგვარებულ ადამიანში ისეთი მხეცური ინსტიქტების აფეთქება გამოიწვიოს, რაც თუნდაც მეტნაკლებად კულტურული და ცივილიზებული ადამიანების წარმოდგენებს და წარმოსახვის საშუალებებს საოცრად გაუსწროს.

საკმარისია თვალი გადავავლოთ იმ საბედისწერო წელს წალენჯიხაში გამომავალ გაზეთ „წალენჯიხის ზარების“ გაყვითლებულ გვერდებს, რომ შემზარავი სინამდვილე გადმოიღვაროს იქიდან და ჩვენი ეროვნული დაცემის გაუგონარი, შავი სურათები გადაიშალოს.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამ საგაზეთო პუბლიკაციებს იურიდიული სამხილის ძალა არა აქვთ, მაგრამ ისიც კარგად ვიცით, რომ თვით ყველაზე მკაცრი ცენზურის პირობებშიც კი, პრესაში მაინც ირეკლება საზოგადოებრივი აზრი. სწორედ სამეგრელოში (კერძოდ, წალენჯიხაში) შექმნილი საზოგადოებრივი აზრის საილუსტრაციოდ მოგვყავს ზოგიერთი ამონარიდი ამ გაზეთებში გამოქვეყნებული მასალებიდან. ისიც შესანიშნავად გვესმის, რომ ზოგიერთი პასაჟი ამ პუბლიკაციებისა შეიძლება უტრირებულია, გაზვიადებულია, მაგრამ როგორც ცნობილია, არაფრისაგან არაფერი არ შეიქმნება. თუკი იმდენი მოხდა (და ეჭვიც არ გვეპარება, რომ მოხდა), რისი ასე გაზვიადებაც შეიძლებოდა, ე.ი, რისი გაზვიადებული გადმოცემის შემთხვევაში შეიძლებოდა მიგვეღო ის, რაც ამ პუბლიკაციებშია გადმოცემული, ეს სრულიად საკმარისი იქნება არსებითი დასკვნის გასაკეთებლად: სამეგრელოს მიმართ ჩადენილი იქნა საუკუნის დანაშაული, ჩადენილი იქნა გაუგონარი მკრეხელობა, რომლის ჩამორეცხვა ასე ჰაიჰარად, როგორც ეს დღეს ზოგიერთებს ჰგონიათ, არ მოხერხდება, ვერ მოხერხდება და არც ხერხდება. სათანადო პოლიტიკური შეფასების გარეშე, და ამ შეფასებების შედეგად შესაბამისი სანქციების განხორციელების გარეშე სამეგრელოს ეთნიკური ცნობიერებიდან უნდობლობის ბაცილის მოსპობა შეუძლებელია იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ვანდალური ფაქტით ქართულ ეროვნულ ცნობიერებას ბზარი გაუჩნდა, რომლის ამოვსებაც თუ მეტი არა, სულ ცოტა ათწლეულები მაინც დასჭირდება

თავად განსაჯეთ:

„—სანაპიროსგასწვრივ გზას მივყვებოდით. ავტომანქანა „უაზი“ წამოგვეწია, გაჩერდა და იქიდან ავტომატმომარჯვებული ახალგაზრდები გადმოცვივდნენ. გაგვჩხრიკეს, კონდახები წამოგვარტყეს, ერთმა გოგი ეჭვით შეათვალიერა. ეს მეცნობა, ცაიში რომ გვესროდნენ იმათთაგანია. მაშინვე მგლებივით ეცნენ, ბილწი გინებით ფეხქვეშ გაიგდეს, კონდახები დაუშინეს. ერთმა მათგანმა ავტომატს ტყვია პირში მისცა... ყვირილი მოვრთე.

— არ ესროლოთ, ჯერ სულ ბავშვია, უდანაშაულო ბიჭია— მეთქი.

— შენ ვინ გკითხავს, შენი მეგრელი დედა .... — შემაგინეს და კონდახები დამცხეს, გოგის ისე შესდგნენ ფეხებით, რომ ამის ყურება შემზარავი იყო. კბილები ჩაულეწეს, თავი გაუხეთქეს, მთლიანად სისხლში ამოსვრილს კვლავ და კვლავ უშენდნენ წიხლებსა და კონდახებს. მერე ერთმა გოგი ფეხზე წამოაყენა, რევოლვერი შარვლის ჯიბეში ჩასჩხირა და გაისროლა: მეგრელები არ უნდა გამრავლდეთო...

— ამასობაში ჩვენთან მოიყვანეს სოფელ სქურის ხუთი მცხოვრები. მათ შორის ერთი სრულიად ახალგაზრდა ბიჭი, გვარი არ ვიცი, რომლისთვისაც ტყვიით ქუსლი გაეხვრიტათ და სიმწრით გმინავდა. ყველანი ნაცემი იყვნენ. მოგვიწვინეს ესენიც გვერდით და მაშინ მოხდა ფრიად საჩოთირო რამ, სათქმელადაც მრცხვენია... ერთმა, რომელსაც გვერდით შეიარაღებული ქალი ახლდა, მკვნესარე დაჭრილ ბიჭს დახედა ამრეზით და ქალს უთხრა:

— ესენი ხომ ადამიანები არ არიან, მოდი, ერთი ამ ბიჭს გადააფსი თავზე... ახლა მართლა გავოგნდით. კიდევ კარგი, იმ ქალს მცირედი ნამუსი კი ჰქონია, რადგან მიუგო:

— ახლა არ მინდა და როგორ მოვახერხოო.

— აბა, მე ვიზამ მაგას, — თქვა იმ მხეცმა და პირქვე დაწოლილ ბიჭს ქალის თანდასწრებით დააშარდა თავზე... შემდეგ თავზე გვაფურთხებდნენ, ამის ღირსები ხართ მეგრელებიო...“

(„ხარება დღის საშინელებანი“, გაზეთი „წალენჯიხის ზარები“, №1.1993წ.)

დავანებოთ თავი იმის გარკვევას, თუ რამდენად შეესაბამება აქ მოთხრობილი ყოველი დეტალი და ნიუანსი სინამდვილეს, ან რამდენად უტრირებულად, გაზვიადებულად არის გადმოცემული სინამდვილეში მომხდარი ამბავი. ჩავთვალოთ, რომ ბევრი რამ გაზვიადებულია (თუმცა შესანიშნავად იცის ყველამ, რომ კიდევ უფრო მეტი საზიზღრობა და საშინელება ხდებოდა მაშინ სამეგრელოში). ჩვენთვის მთავარი ის კი არ არის, მართლა მოშარდა თუ არა დაჭრილი ბიჭების სხეულზე რომელიღაც გარეწარმა, არამედ ის, რომ ეს სისასტიკე, ეს გაუგონარი ბარბაროსობა მიმართული იყო ამ კონკრეტული ადამიანების მიმართ არა როგორც ადამიანებისა და პიროვნებების, არამედ როგორც მეგრელების მიმართ. აი, ესაა მთავარი და ნუ გაუკვირდება ვინმეს, რომ ადამიანური ღირსების იმ ყველაზე დამამცირებელ და საშინელ პასაჟზე უფრო საშინელი სწორედ ის გვგონია, რომ ეს საშინელება ადამიანის ეთნიკური წარმომავლობის, ეთნიკური ღირსების წინააღმდეგ ჩადენილი ქმედება — დანაშაულია.

დასახელებული გაზეთის იმავე ნომერში მოთავსებულია თ. შოთაძის წერილი „სინამდვილე შეუფერადებლად“, სადაც მოთხრობილია არანაკლებ შემზარავი ამბები:

„წალენჯიხის რბევა და აწიოკება აპრილის დასაწყისიდან დაიწყო. მაშინ, ფაქტიურად, არავინ შებრძოლებია რაიონის ტერიტორიაზე შემოჭრილ გვარდიელებსა და მხედრიონელებს, მაგრამ ამის გამო, მშვიდობიანი მოსახლეობისათვის შეღავათი არ უწყალობებიათ. ხელისუფლების მიერ წაქეზებული, დაუსჯელობის გრძნობით შეპყრობილი არაკაცები ყველანაირად შეურაცხყოფდნენ თვისტომთ. ანგარიშსწორების პირუტყვული ჟინით შეპყრობილებმა გადალახეს ყოველგვარი ადამიანური ზღვარი... მშვიდობიან მოსახლეობას კედელთან აყენებდნენ და ხვრეტდნენ, მდინარეებსა და ხეობებში ყრიდნენ, თავსა და კიდურებს აჭრიდნენ, ავტომატის ლულებს პირში სჩრიდნენ, კბილებს ულეწავდნენ, უკიდურესი დამცირების ფასად ზოგჯერ სიცოცხლეს უწყალობებდნენ. რამდენი ასეთი ცოცხალი, მაგრამ სულში ჩაფურთხებული ადამიანი დადის დღეს სამეგრელოში. შარშან აპრილში, წალენჯიხის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრების ოჯახში შეჭრილმა ბანდამ, სახლის გაძარცვის შემდეგ წარმოუდგენელი რამ მოინდომა: 18 წლის ჭაბუკის გაუპატიურება იმის გამო, რომ მათი აზრით, მეგრელებმა ასეთი რამ დაიმსახურეს.

„დიდად გასაოცარი და ყურადღებით გასაანალიზებელია ის, თუ რამ ასაზრდოვა ზოგიერთი ნაძირალას ასეთი სიძულვილი იმ კუთხისადმი, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობის მესაძირკვლეა და მისი სიმაგრის დუღაბიც... ზოგიერთთა პათოლოგიური სიძულვილი სამეგრელოსადმი ვლინდება ამ საუკუნეში მეორედ ე.წ. „მეგრელთა საქმის“ ცრუ ბრალდებათა სერიის შემდეგ...“ ეკითხებიან ერთმანეთს და გვეკითხებიან ჩვენც გაოგნებული მოსახლენი სამეგრელოსი.

მართლაც გასაოცარი და ცალკე კვლევის საგანია, თუ სად არის სათავე სამეგრელოს მიმართ თუნდაც ცალკეულ ადამიანთა, თუნდაც მხოლოდ და მხოლოდ ნაძირალათა ამგვარი დამოკიდებულებისა. სხვათაშორის, ამგვარი კითხვა გასდევს თითქმის ყველა პუბლიკაციას, რომელიც იმ წლებში გამოაქვეყნა გაზეთმა «წალენჯიხის ზარები». ჩანს, ამ კითხვაზე ძნელია პასუხის გაცემა

მართლაც გასაოცარი და ცალკე კვლევის საგანია, თუ სად არის სათავე სამეგრელოს მიმართ თუნდაც ცალკეულ ადამიანთა, თუნდაც მხოლოდ და მხოლოდ ნაძირალათა ამგვარი დამოკიდებულებისა. სხვათაშორის, ამგვარი კითხვა გასდევს თითქმის ყველა პუბლიკაციას, რომელიც იმ წლებში გამოაქვეყნა გაზეთმა „წალენჯიხის ზარები“. ჩანს, ამ კითხვაზე ძნელია პასუხის გაცემა. ისიც ჩანს, რომ ბევრი უფიქრიათ სამეგრელოში, მაგრამ ამ კითხვაზე რამე საფუძვლიანი და არგუმენტირებული პასუხი ვერ უპოვიათ. ამ ფაქტის ახსნა იმით, რომ საქართველო დაყოფილი იყო „ზვიადისტებად“ და „ანტიზვიადისტებად“, დამაჯერებელი არ არის. „ზვიადისტები“ და „ანტიზვიადისტები“ საქართველოს ყველა კუთხეში იყვნენ, მაგრამ რაც სამეგრელოში მოხდა, სხვაგან არ მომხდარა. მოთარეშე შეიარაღებული ბანდები საქართველოს სხვა კუთხეებსაც ძარცვავდნენ, მაგრამ არც კახეთში უსვრიათ ვინმესთვის ფეხებშუა, კახელები არ უნდა გამრავლდეთო, და არც სხვა რომელიმე კუთხეში არ უგინებიათ ვინმე თავისი ქართლელობის, იმერლობის ან რაჭველობის გამო, გარდა სამეგრელოსი და მეგრელისა.

შემზარავია „წალენჯიხის ზარების“ მესამე ნომერში გამოქვეყნებული მასალა მერაბ კვარაცხელიას საზარელი მკვლელობის შესახებ, რომელსაც მისი და გვიამბობს. მერაბ კვარაცხელია როცა დაიკარგა, ცხადია, იფიქრეს, რომ შეიძლებოდა მოეკლათ.

„...თბილისში წასვლა და ტელევიზიით გამოცხადება დავაპირე, რომ მერაბს ვეძებდით. მაგრამ მირჩიეს: შევარდნაძე აქ ჩამოვა, მასთან ერთად სხვებიც იქნებიან, იქნებ აქვე გაირკვეს ყველაფერიო, — წერს იგი. — დავიჯერე, ►

თანაც დროს არ ვკარგავდით, მთელი ნათესაობა ფეხით თუ ცხენებით ტყეღრეში დავდიოდით და მერაბის გვამს ვეძებდით... ჩვენზე ადრე ჩემი ძმის გვამი მუხურელ ცირამუას უნახავს. თურმე სიმყრალის სუნმა შეაწუხა და გვამს მიაგნო, ჯიბეში ახლადგარდაცვლილი დედის სურათი აღმოაჩნდა მერაბს. გვამს თავი და მკლავები არ ჰქონდა. თავი მეორე დღეს იპოვეს, თავის ქალა და ყბები ცალ-ცალკე ეყარა.“

ამ შემზარავი ფაქტის თხრობას ეს საცოდავი ქალბატონი ასე ამთავრებს:

„მერაბის მატლდასეული ცხედარი წალენჯიხის ცენტრალურ მოედანზე რომ მოიტანეს და გააჩერეს, ერთ საათში წალენჯიხის სტადიონიპოდრომზე სამი ვერტმფრენი დაჯდა. ერთ-ერთიდან გადმოვიდა შევარდნაძე, რომელსაც პირველი შევხვდი მე. მოვითხოვე, რომ ჩვენს საუბარს ვალერი კვარაცხელიაც დასწრებოდა. ვუთხარი მათ, რომ სულაც არ არის გასაკვირი, თუ ჩვენსავით გამწარებული ხალხისაგან შექმნილმა რაზმმა მხედრიონელებს ტყვია ესროლა. შეიარაღებული ბანდების საქციელი კაცებს კი არა, ქალებსაც ააღებინებს ხელში იარაღს-მეთქი. შემდეგ ვალერი კვარაცხელიას მივუბრუნდი: — ბატონო ვალერი, 17 ივლისს საქართველოს ტელევიზიამ რომ გადმოსცა, მდინარე ჭანისწყალში ნაპოვნია გვარდიელის გვამი და მიმდინარეობს გამოძიებაო, ის გვარდიელის კი არა, ჩემი ძმის გვამი იყო. ასეთია თქვენი ტელევიზია — შავს თეთრად აჩვენებს და თეთრს შავად-მეთქი.“

ამ წიგნზე მუშაობისას, ეს სტრიქონები რომ წავიკითხეთ, ჩვენს კოლეგას ბატონ ვალერის შევეკითხეთ — მართლა იყო თუ არა ასეთი ფაქტი, რაზეც მან განაცხადა: „სიტყვა-სიტყვითაა აღწერილი შეხვედრის ეს ეპიზოდი. ეს იყო შემზარავი სცენა. ამგვარ სიტუაციაში სხვა დროს არასოდეს ვყოფილვარ და ღმერთმა არ ქნას, ოდესმე კიდევ აღმოვჩნდეო. მე თვითონ ვთხოვდი ბატონ შევარდნაძეს სამეგრელოში ჩასვლას. ჩვენ ვიცოდით, რომ იქ დიდი დანაშაული მოხდა და სწორედ ამის გასარკვევად მივიჩნიეთ საჭიროდ იქ ჩასვლა. სამწუხაროდ, იქაურობა ისე იყო ადუღებული, რომ წალენჯიხის მოსახლეობასთან საუბარი ვერ მოხერხდა“, — თქვა ბატონმა ვალერიმ. თუკი, ამ ქალბატონის მონათხრობში ასეთი სიზუსტითაა გადმოცემული შეხვედრის ეს ეპიზოდი, სავარაუდოა, რომ სხვა დანარჩენიც ობიექტურად და ზუსტადაა აღწერილი მის მონათხრობში.

გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ტოვებს გაზეთ „წალენჯიხის ზარების“ ნომრებისათვის თვალის ერთი გადავლებაც კი. აი, ზოგიერთი ამონარიდი:

„სამშვიდობოდ“ და „წესრიგის“ დასამყარებლად მოსულმა „დემოკრატებმა“ სახლიდან გამოიყვანეს ზაურ ზარქუა. სასტიკად სცემეს, ხელ-ფეხი გადაუმტვრიეს, უმოწყალოდ აწამეს. უღვთოდ ნაწამები მანქანაში ჩააგდეს. ამაო იყო მოხუცი დედის ვედრება და მუდარა ჯალათებისადმი. ზაური დახვრიტეს...“

„არაკაცებმა არ დაინდეს დიასახლისი, ქართველი დედა, ქართველი ქალი, ოჯახის ბურჯი და სიმბოლო, ყველასაგან დაფასებული და პატივცემული, ორი შვილის დედა, ქალბატონი მიმოზა შელია. დახვრიტეს ავტომატის ჯერით საკუთარ ოჯახში, საკუთარ კერასთან...“

„6 ივლისი გურამ ფიფიასათვის საბედისწერო გამოდგა, მისი ბინა ბრძოლის ობიექტს, სკოლა-ინტერნატს ესაზღვრებოდა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლიდან მან არა ერთი ბავშვი, მოხუცი და ქალი გაიყვანა სამშვიდობოზე. გურამი შეიპყრეს კიდევ სამ წალენჯიხელთან ერთად და სკოლა-ინტერნატის ეზოში წაიყვანეს დასახვრეტად, მაგრამ იქამდე მისვლაც არ დააცადეს, ჩვიდმეტიოდე წლის ახალგაზრდამ მას ზურგში რამდენჯერმე ჩასცა დანა. — მიდი, მიდი, ყელი გამოღადრე, — დაიყვარა იქვე ახლოს მდგარმა ავტომატიანმა და შამპანურის ბოთლი მოიყუდა. ბრძანება სისრულეში ვერ მოიყვანეს, რადგან გურამი უკვე მიწაზე ეგდო, უგონოდ და სისხლისგან იცლებოდა...“ („წალენჯიხის ზარები“ №4.1993წ.)

„კონდახებით ცხვირ-პირი ჩაუმტვრიეს აბრამ, სოსო და რაულ ფიფიებს. ერთ-ერთი მათგანი მდინარეში ჩააყენეს და სროლის მუქარით აყვინთვინებდნენ ცივ წყალში“. (როინ ფიფია, „წალენჯიხის ზარები“ №5.1993წ.)

„სამეგრელოში „დასახმარებლად“ ჩამოსულ ერთ-ერთ ჯგუფს გზაზე გადაეყარა წალენჯიხიდან ზუგდიდს წამოყვანილი სახალხო ლაშქრელი სამი დაჭრილი, ე.ი. „სახელმწიფო საბჭოსთვის“ — „ყაჩაღი“. დაჭრილთაგან მომაკვდავი გზაში დატოვეს, ორი უკან, წალენჯიხაში გაიყოლეს. კონდახის ცემით მოკლეს ორივენი. ცხვირი და ყურები წააჭრეს, გაუგონარი ცინიზმით მოექცნენ გვამებს...“(„წალენჯიხის ზარები“.№6.1993წ.)

„წალენჯიხის ზარებში“ გამოქვეყნებული ეს პატარა ამონარიდიც კარგად გვიჩვენებს, თუ რა სახისა და მასშტაბის იყო დაპირისპირება. ერთი წუთითაც რომ გავიფიქროთ — შეიძლება ეს ყველაფერი ტყუილი და გამოგონილიაო, სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება მაინც სახეზე გვექნება, რადგან ამდენი სისასტიკისა და სიბინძურის შეთხზვა-გამოგონებას როგორ მოახერხებს კუთხე, თუკი იგი მართლაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ არ არის დაპირისპირებული ვიღაცასთან ან რაღაცასთან. დიდმა და პატარამ, განათლებულმა და ნაკლებად განათლებულმა, ქალმა და კაცმა, ძველმა თაობამ თუ ახალმა თაობამ, ერმა თუ ბერმა ასე ერთად როგორ შეკრა პირი, თუ არა საერთო დიდი უბედურება და განსაცდელი?! ასეთ რამეს არ შეიძლება საფუძვლად პოლიტიკური მსოფლმხედველობის განსხვავებულობა ედოს. ასეთ რამეს ეთნიკური, რელიგიური, სახელმწიფოებრივი ან რასობრივი მომენტები შეიძლება განსაზღვრავდეს. უკანასკნელი სამი ავტომატურად გამოირიცხება, რჩება მხოლოდ ეთნიკური. სამეგრელოს ქართველობის ასე ფანატიზმამდე მისული სიძულვილი მხოლოდ მათი მეგრელობის გამო შეიძლებოდა. ზემოთ ვთქვით — ერი და ბერი ასე ერთად როგორ აღსდგაო. „წალენჯიხის ზარების“ პირველ ნომერში გამოქვეყნებულია წალენჯიხის მაცხოვრის სახელობის ეკლესიის მღვდლის, მამა რომანოზის საკმაოდ ვრცელი წერილი, საიდანაც გარკვეული ფრაზების მოხმობა, ვფიქრობთ, აქ უადგილო არ იქნება.

„ღმერთს შევთხოვ მომცეს ძალა და გამბედაობა, ვთქვა არა ფუჭი სიტყვა, არამედ ჭეშმარიტად ის, რაც იყო და როგორც იყო.

7 ივლისი უსაშინლესი გათენდა ჩემი ოჯახისათვის. დილაუთენია ამოვიდნენ „ომონისა“ და „მხედრიონის“ შეიარაღებული პირები, კარებთან შევეგებე.

— შენა ხარ გმირი მღვდელი? ნაბრძანები გვაქვს დაგხვრიტოთ, — მომიგდეს სიტყვა. პირჯვარი გადავწერე ყველას, დილის ლოცვების სიტყვებით მივმართე, რაც სასაცილოდ არ ეყოთ.

— ჩქარა გაგვიძეხი ეკლესიისკენ, იქ იარაღი გაქვს დამალული, მაგას ზედ უნდა დაგაკლათ ღორივით.

— ცდებით, იარაღს ეკლესიაში რა უნდა, მე მღვდელი ვარ. —ერთმა კონდახი მითავაზა მკერდზე.

წინა დღეს, (ე.ი. 6 ივლისს) ეკლესიის ამოსასვლელ აღმართზე პირტიტველი ყმაწვილი მოუკლავთ ჯალათებს. ცხედარს ჭირისუფალს არ აძლევდნენ, მატლებისა და ღორების შესაჭმელად ტოვებდნენ. გავაპატიოსნე ამ ყმაწვილის ცხედარი, ეკლესიაში დავასვენე. ეკლესიის გასაჩხრეკად მოსულებმა რომ ნახეს ცხედარი, შებილწეს იგი. წასვლის წინ ერთი მომიტრიალდა და მომახალა:

— მეგრელს რა გინდოდა ეკლესიაში მღვდლად?!

... ნაშუადღევს ისევ მოვიდნენ. ბევრნი იყვნენ. ეკლესიას ალყა შემოარტყეს. შევახსენე:

— ამ დილით იყვნენ, ეკლესია გაჩხრიკეს, ვერაფერი იპოვნეს, თქვენ რაღას ნახავთმეთქი? — პასუხად ისე მცემეს, რომ დიდ ხანს უგონოდ ვეგდე. ეკლესია და სახლი გაძარცვეს, რაც მოეწონათ წაიღეს, რაც არა და დაწვეს. შემდეგ მანქანაში ჩამაგდებდეს. როცა მანქანაში მსვამდნენ, ბავშვებმა სთხოვეს — ნუ წაიყვანთ მამას! ერთმა ნამცხვრის ნატეხი მიაწოდა.

— რად გინდა მამა, აგერ ნამცხვარი ჭამე...

მერე დაიწყო გაუთავებელი ცემა და წამება... მერე ვერტმფრენით თბილისში წამიყვანეს და იზოლატორში ჩამაგდეს. იქაც იგივე გაგრძელდა, ცემისაგან ტვინი შემერყა, თავზე ღრმა, ღია ჭრილობა მქონდა. ერთმა, საქალაქო ტანსაცმლიანმა, ჭრილობაში თითი ჩამიყო:

— ცოცხლად უნდა გაგატყავო, მე შენი ასე და ისეო...

მერვე ნომერ საკანში შემაგდეს, სადაც 14 დღე დავყავი, შემდეგ მეოთხე ნომერში გადამიყვანეს და ხუთ დღეში გამათავისუფლეს. სულ 19 დღე ვიყავი საპატიმროში. გამომძიებელი და დამკითხავი არავინ მინახავს, რისთვის ჩამსვეს, არც ეს ვიცი.

სასონარკვეთილი და ღონემიხდილი ჩამოვედი გადამწვარ და აწიოკებულ წალენჯიხაში. ეკლესიაში ავედი, ზარებს შემოვკარი, დავიჩოქე ხატების წინ... მთელი დღე ვლოცულობდი და ვტიროდი.

ეთნოგრაფიული მუზეუმისთვის მასალებს ვაგროვებდი. ძველებური ყოფა-ცხოვრების ამსახველი უამრავი ნივთი მქონდა. ყველაფერი წაეღოთ. არაფერი რჩება შთამომავლობას ჩემი გულმოდგინე შრომის შედეგად.

ღმერთო, შეუნდე ცოდვილთ!“

სწორად იქცევა მღვდელი, როდესაც ღმერთს ავედრებს ცოდვილთა სულებს, მაგრამ ღმერთი ხომ შენდობას მას აღირსებს მხოლოდ, ვინც შეიგნებს ცოდვებს და მოინანიებს.

მონანიება! მონანიებაა საჭირო. მონანიების შემდეგ ღმერთიც შეუნდობს და ბუნებით გულკეთილი მეგრელი კაციც მათ, ვინც, კაცმა რომ თქვას, საკითხავია — საერთოდ, არიან კი შენდობის ღირსნი?!

«სამშვიდობოდ» და «წესრიგის» დასამყარებლად მოსულმა «დემოკრატებმა» სახლიდან გამოიყვანეს ზაურ ზარქუა. სასტიკად სცემეს, ხელ-ფეხი გადაუმტვრიეს, უმოწყალოდ აწამეს. უღვთოდ ნაწამები მანქანაში ჩააგდეს. ამაო იყო მოხუცი დედის ვედრება და მუდარა ჯალათებისათმი. ზაური დახვრიტეს...»

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამ საგაზეთო პუბლიკაციებს იურიდიული სამხილის ძალა არა აქვთ, მაგრამ ისიც კარგად ვიცით, რომ თვით ყველაზე მკაცრი ცენზურის პირობებშიც კი, პრესაში მაინც ირეკლება საზოგადოებრივი აზრი. სწორედ სამეგრელოში (კერძოდ, წალენჯიხაში) შექმნილი საზოგადოებრივი აზრის სასლუსტრაციოდ მოგვყავს ზოგიერთი ამონარიდი ამ გაზეთებში გამოქვეყნებული მასალებიდან

გური ოტობაია
ოდი
ეპიკური პოემა

ოდა პირველი
მეჯღუნა

ირფელს ოჭიშ ქურთინე დო ხალხიშ გური ვადინუა,
ომბოლს ცხირა დაცხირაფე, ტყურათ ვეგლახანდინუა,
ცვერეს ხინჯი ქიმუჭიშე, სერეფიშა ვარჯგინუა,
ცუნგას ბირა ქიდარზაფე, უკოჩანა ვარჩქილუა.
სი ოდიში ნორცხვა რექი, სი ქიანაშ მორსხა რექი.

ირფელს ოჭიშ ქურთინე დო შქას ქიმშანთხი გაზებელსუ,
დიხაშ გურშა გენაცუნი, ომბოლსი დო მარსხებელსუ,
ვაგაშქურნას — სქანი ჟიშე უღურალა არსებენსუ,
არძა ჭუას გოიჭვარუნს, უგურზებ დო გარზებელსუ.
სი რექ სინთე ოდინიში, წკვარამია, გოდინ, იში!

ირფელს ოჭიშ ქურთინე დო შარა გონწყო მობირეში,
ხუმლა ჩხვიჩხვის დუხვანცალე, ნოცელ პირით გოპირეში,
სანთელეფი ვაშქირიტა მოხვამე დო მოპირეში,
ხანგას ტანშე გეშუფართხი ალდაჩხირი ონკირეში.
სი ოდიში თანაფა რექ, სი რინაში ჭყანაფა რექ.

ხალხიშ გური ვადინე დო ირფელს ოჭიშ ქურთინედა,
დექექებუქ ერებამო, ცაშა გეშახურთქინედა,
მოთალეფი ეგკათხოზუ, ასე გოკონ უჩილე რდა,
ცინდა რინაშ მაძგაბალი, უღურალსი ურჩქილედა.
ლეკურს შხვეფქი დურქიანი, ლიმას შქვეფქი ურკიანი.

ჰალიძონეფქ ეპისტროს დო ოდიოსის მაცუნესუ, —
ღაბაჩანს ჰომეროსი, არიკეფი ვაცუმენსუ —
ვარჩხილიში ობადიშშე შორ ალიბეს დაცუნესუ.
ჩქით ვოძირანთ მახორობას, აგაში დო ბჟაცურენსუ,
ახალი დო ირო ჯვეში, ქუმწუძახათ ობირეში!

დუდიშ გორუა

კირგი I. ჰალიძონეფი

ხალიბეშ აკანს ოცქვანა რკინა, ლინჯი დო ვარჩხილით,
ჰალიძონეფი ცხოვრენა თექობას ხონარ ბარჭყილით,
მის რე თინეფშა მიართე ბირგულ-მანჯაში კვარჩხინით,
ქულამურს ურეფუანა უროს ჩხოროფა დაჩხირით.
1 ლაკადას უღნა ოხორი, თექ დილალუანს ჯოღორი.

ოსურ ნართებშე მოცუნა, დიმდარი რენ თუ ღარიბი,
ცირა ნართელი ქორენდა, ბოში იცუაფ ხალიბი,
ართი კირიბის ჭყიშუნსუ, მაჟრას ახერხანს ყალიბი,
ნართის ქაქალი უცორსდა, ხალიბეს — შურიშ კალიფი,
2 ფულანდი მონტყორს ვანკირე, ფულანდი ორქოშ მანგი რე.

გეშებაჯხულნა გემეფშა, მუჟამს დუძახნა ტროაშე,
არგუსოს გეთოფალუნა მარტიშ დალიას დოცაშე,
ონჯხუას გითმაშინენა ოჭმარეს შური გოკაშე,
სოიშახ წყარეფს გინმულა, ლანდი იშქვიდუ ბოგაშე.
3 უწინა ნართი ცირეფი: ქუმომღითია ძიეფი!

ანთას გემ მაჩიხ ტროასი, ეაშე ჟირით მეულა,
ჭკადუეფ რენა არწორო ჩეშმანეფი დო თეულა,
ბერთო ნირსიშე იფაჩუ ნართი ცირეფი პეულა,
ანჯარქი ვემიჭიშუ დო თექ ოკო ჭკადან დღეულა.
4 „ჯგირო ჭკუმი დო ჯგირო შვი!“ მეცუნა ჭკადუ ჟიროში.

უკანტუანა დუდის დო უღვერჯუანა ხოპისუ,
ითამდა ომბარეში რე, თაშ მინატრენა ცოფინსუ,
მინჭუაფუნა რაგვიშა, ვაჭიშნა სოთინ ტყობინსუ,
ნაცალას გეჯანუდესინ — ქიშინა ტკუციშ ლოგინსუ, —
5 ხალიბე — ჯღარი თოლეფი, ხალიბე — ჰალიძონეფი.

ქრისე ხუგეგი მოგვი რე ოხვამე აპოლონიში,
კიდირშა მანჭუ ფრიმული ჟითუო რჩინი ლომიში,
ცირა მიდუღუ ატრიდიქ: ქრისეში მელე სო მიში?!
ორქო დოზირუ ხარგუა ფსუაფაჩილი ჭყონიში.
6 ძღვინი ოლიმპოს აცვერენს, კეშილი ცორსი აკერენს.

მარა ქარაცუ ატრიდიქ: ქრისეშა დიღიმინწნია,
ვემერჩა სქანი ცირასუ, დგინდგამი კითი იწია,
ინაქ ნორჩალი ემფართხას, მინ ფარჩა ქაში, მინ — ძია,
უკახლე ვემკიჯხინავა, იბაღე მუდგა გიწია!
7 მინგარს მოგვი დო რაცვალანს, ზღოური ელარაქვალანს.

ფარა ირდიხას ფარენსი, შხვაშო რენი თუ სქანო რე,
დექირუ მექაშქვილეფი, სოდეთ ჯორეფი ანორე,
გასირაფუ დო დანძორუ, შური ვეღინე შხვანორე,
წყარი ვეშვინე ბურწენშე, კითეფი ვემიჭყანორე.
8 დოშქურდუ ჭიჭე-დიდიქუ: აპოლოქ შქვილი ქიდირქუ.

თაშ თქუანა დო ეშობას ფარა ქუტურუ კალქანტის:
აკა საჩქიმო ზოჯია, შური დიჭყანდას კარკანტის,
გეშმორსხებაფე ცირავა, ოსქუდას ნერჩიშ კვარკვანტის,
ჰოდო, მაკითხეთ ატრიდის ქოზეპუნს ნინა-ლაკარტის:
9 მუმას ქიმეჩი სქუავა, ვარა მებტირხნა ფსუავა.

დართინესი დო შხვეფიში ჩიებაშ ბორჯით ქიჭარუ,
მუჟამსუთ ოდი ბოშიში დღალეფი გეკიჭიჭარუ,
ოხვამეს ბრელშა შეხვადნა, ცოროფაშ ლერსით დიჭარუ:
კუჩხ ვეგნოდგავა ტროაშე, ცუჯიშა ვემიკინჭარუ,
10 მიდურს დო ქოთი გოჭვირთეს, ღურუშ ლახალა ოჭირ თეს.

ქრისეისეში კიდირი ძალამასი რე ნჯღვილირი,
აგამემნონიშ სქვერი რდუ, კარეშა აფუდ ხვილირი,
ოჭმარე-ონდღე-ონჯუას ნორჩალშა აფუდ შქვილირი,
მუდგა პეული მეჩანდუნ, არწორო აფუდ წილირი.
11 ქიშინო აგაშ მოთირე?! ტანო მოგენსუნ ოდი რე.

ინა უჩა რე, რიხალი, ენა — ჩელა დო კირიბი,
ინეფი ქუგუ უროშა, ლექერთი უღუ ქილიბი,
ართი მიკენიშ ხენცფე რე, ოსურამი დო თულამი,
მაჟრა — შუშელი ბოშკოჩი, აიეტიში რჯულამი.
12 ა — აპოლონიშ ოხვამე, ა — ნინას ქუმულოღამე.

ქურუმეფი დო მოგვეფი ქიანას მუშოთ ურთანა,
ხენცფე მინორე, ვეზირი, ორქოს ვარჩხილო ხურდანა,
ზენს აგვალენა — ოკონან დო გვალას გინოგურთანნა,
მანჯაშა გუკარკაზუნა მურიცხეფიში კურთალა.
13 ქურუმეფსი დო მოგვეფსუ ცა გუმუშქვანა ბოგეფსუ.

თენეფს აზირუ ორქო დო ირნერი ქუა-სადაფი,
ბიგა უკებნა ხეშა დო ა — გურგინი დო ა — დაფი,
ხენცფეს ხოჯცალო მერა უნს თენეფიშ სიტყვა-ჭკადაფი:
„ვედიჯერუდა ღვინწკუმა ხეთე ქერძაფი ქათაბი!“
14 დო ქრისეიდაქ ქიკინდუ ოდი ხურხი დო ნიკითუ.

ქუმუღეს ამბე ატრიდის: სქან ცირას ოდი ნჭყუნცია,
ქრისეშა გემით გუტენი, ემერი, ოდის უნცია,
თურმე გამაღეთ უხვამნა, ჭყალა ჯვეშობრათ ფუნცია, —
ტროაშა უნტინ ქრისიდას, მუმათ თის ეკოუნცია,
15 ოდი აეტიშ მოთა რე, ოროფილს ორქოთ რჩხუნცია.

ატრიდი ტუჩის იხვატუნს, გურშა დაჩხირეფს იხანტუნს,
ძირ ჰელიში დო ქენჯარუ, „ნიტე სოიშა იღანს დუს?!
ეში ოფერე ვერეხი, კათა ხუჯიშა მანჭუნი“.
ხელეფშა ჭვირთი ვეშმაცად ბრელი კიდირი ლარჯგუნი,
16 ქაწუმინუ დო მიკორთელს ღვანწკეფი გეკულარჭკუნი.

შური სოდგარენ აცვათუნ — მენცრობათ ქრისეიდაში,
უჯეფს რკიაფი ასიმე სათანხე გვაშა დიდაში,
წყარშე ეშმურსი აფსირტე, მუთა მიოხე შქვიდაში,
ცვათის ქაკათუ ცვათი დო შარა გინწყუმუ სქიდაში.
17 ბორდიშანს თოლ-უმანჯეთუ: უდეშა მიდმოსვანჯეთუ!

თაქ მახაონი ვარენ დო მედეშათ ველმიღობარე,
ოდიში ოჭიშ-კიდირი მელე დო მოლე ქოქა რე,
თოლეფი დაუკმელებუ, რინაქ ქურთინუ ოფარე,
ირფელ აძირე მურუჟო, აკაბცხა ჭყანა ოფა რე.
18 უძახუ ქრისეიდასუ: ქიმემჭიშევა დიდასუ!

დოკირნა ორქო-ვარჩხილსი, ლეკურეფს ქელეშვანთანა,
ჰალიძონეფი გეჭოფნა დო ჟირი ჯიმა თართანა,
ფულირი კარით გეგნულა, ჟვერეფსი გეგნოჩართანა,
მოცუნა ქრისეიდა დო ზღვაპიჯშა გეგნოქართანა.
19 წყარშა მევნთირნა ხვამარდი, ა ჭყოლოფუა ნამარდი.

ფარა ირდიხას ფარენსუ, ხეშე თოფურო ჭვეთანსუ,
ბჟა გაკვარკვანტუ ფენთილი ჩე ფრიმულამი ჩე ტანსუ,
ქრისი რე ოდიშ წირსფალი, თებეში ზეთით ზეთანსუ,
ქიდიტენს საქურუმოსუ, ანგორასი დო მედანსუ.
20 ოდი უხუტოლ ხურხიშა, თოლეფი ქუგუ ბურღიშა.

ჰალიძონეფი იბირა: ოდოია დო ოდოი,
სი ქუჩუჩელა კირიბი, სონი ნარჩქინა სოდო ი,
მიშო ჭკადურე ლეკური, ფარეფი — ქვარა გოდოი,
ცაში მენდულეფს, ვარწყექო მემღუნა მუსხი ცოდოი?!
21 ზღოური ძვალანს ანძასუ, ხოპი უკინებ არძასუ.

გემი არკვანო ოთომუ ოდიში ქოქა კიდირსუ,
ჰალიძონეფი ჩენდუნან, ქექე ბორია იბირსუ,
გოსარკილი რე თოლეფი, ფიჭვები იჭყანს კიდირსუ,
ბრელით ვაუჯგუ აფსირტეს — ხე დო კუჩხეფი ჭკირილსუ.
22 წყარს მეჭვირთუნა ხოპეფი დო ზუმინუნა თოკეფი.

აფსირტე (აფსაროსი)

„დობჭვირთით ქექე გემეფი ანჯარეფითუ ჭკუდელი,
არგონავტეფშე დომრთინნა მუ ღურელი დო მუ თელი,
ეკმოსკიდუნა უკახლე ჩელა ჟვეპურიშ კუდელი,
კირბი რე დართინაფალი ტვენგე მედეშე დუდელი.
23 სუმშა დიშქვიდუ ბჟალარა, ვერწყებე არგოშ კვალარა.

„მედეა გეგმუვერებუ იასონიში ოროფას,
ვეგლეფაჩუანს ურუმშო ნორცხვა მურიცხო კორობას,
ქიდაგურუანს შარეფსი, კირბიში მუჭო გოროფას,

მეტყობნა თებეშ მანგათი, შარას ხართანა ჩხოროფას.
24 ქეწვოჭკირანქინ — გოსქიდნა, ასე შურს ხოლო ოსქიდნანირსი

გიფაჩუ ოჭმარეს დო ამარ, ქიმიკვანწუნა,
მორხინილი რე შქვილეფი, ალ-დაჩხირეფით ანჭუნა,
მარა და მუჭო ბხიროკა?! თოლეფ ჩილამურს ჭაჭუნა,
ავრე კირბიში ბჭოფუნა ღორონთიშ პიჯით ნაჯუნა.
25 ფერი დაწყორუ ურუმსუ, ჟითუო გილეღვარჯუნა.

ოხვამეს გეკიბკათითდა — ეგება გეკიბრიგათი,
კირბ დო მედეა მუჩესდა, ვეკვადვალუთუ ბიგათი,
ლეკური ქუმონჩხილაფეს, მედეა რკიანს ოშეფსუ,
მებკვათნა ხე დო კუჩხებსუ, ვასისმარუნა ბოშეფსუ,
26 გარიგალა რენ ფირქენა დო აფრას გიმე დუშქვესუ“.

კირგი II. აფსირტე

აფსირტე (აფსაროსი)

„მერზიებული ორქო რე ლინჯი — სანგარო ცოდეფი,
ქუალონი რე რეყეში, გოფუთქურელი ლოდეფი,
კოჩიშ კვარჩხულო საქვარელს დღას ვეგეგენა ზღოდეფი,
მუთ ელანჭუნა ჯიხასუ ჯარგვალეფი დო ოდეფი?!
27 მუს იქუ კითიშ ჩამინი, ირფელშა გურ რე ჩამილი.

თურმე დუწერნა ჯვარი დო სო დართინუა ბარგილსუ?!
ხვამარდის გებრიგათია, ქუმომჩინანა ქარგილსუ,
შურდინაფილსი უჭოფუ, თოლეფსი ვორწყექ სარკილსუ,
ირფელს თის ქეკაწამენა — უპარკუსუ დო პარკილსუ,
28 ვავაი, სქანი ჯიმაშე, თოლი ეშმალუ ჯინაშე.

ურუმეფიში წესი რე ხე გიბონანი ცოდაშე,
ოღონდაც ჩხელა ზისხირით, ითამდა ვაიჩქ სო დაშე,
გორკალაფანა სქუაშე, გორკალაფანა მოთაშე,
ირფელს სი ქეგკანამენა, ვამგგაზაკვედას ოდაშე.
29 შხვა მუთუნ ვაჭირ მედესი, ღამაკურეფით გეტესი.

ჰოდო მებკვათნა ხელეფს დო მებღუბოჩუნა კუჩხეფსუ,
წყარს მიორღვანა ჩქიმ ტანსი, ფურე ზისხირშე გოფრჩხესუ,
ზვიგენეფი დო ღლამეფშო ართო გემუან ფუჩხეფსუ,
ანწ სო დართინე მედეას, მანჯა ინი დო გურ ჩხესუ?!
30 ჰა, ქომჩიებუ ირფელი, მენდი სი პუნქუ კირბელი.

დაში წირწინი დოშქირტუ, მეჭყორდუ არგოშ კვანწინი,
თოლსი მეთხოზუ ინგირი დო ამარანტა კვანწილი,
მის გოკო ანწი ენდურე, გური ჩქიმით რე წყანწყილი,
დუდი მუშენი მიბქექე?! ურუმშე ვორექ ჭყანჭყილი,
31 ნახაფულიში მანგურო წყარს ქენმორღვანა ხანგურო.

საფულე ვემელირსებუ, ჩხომეფი გობძირძონუნა,
იხ-ბორიეფი ტკილიში კიბირით გილაბრცხონუნა,
სირინოზეფიშ ღურჭული ჰამო თოფურით ბწყორუნა,
სკილა ქარიბდას არაგვუ, შურკუნტას ეკმაჭყორუნა.
32 მათ ბორიათი გინოფრთექ, უკული მედექ ქუმორთ თექ.

დუდშენო მითინს ვაკოდი, აეტი ნჯარსი ჯორგუდუ:
ჰელიოსიში გამნარყის ნოსათ სათანხე მორკუდუ,
ოში სქუაში მახალი ხანიშე პეპით მორგუდუ,
ბარსოფი თიში ნათუხა, მონტყორი ორქოთ სორგუდუ,
33 დუდი მუნერო მემზიმეს?! დო ანთასნერი გომსიმეს.

სკი გამიშერეს ნართეფქი, გვაშაშა გემშაშქვესია,
ოკოდეს მიკარტყალესკო დიდი ჰელიში ფსქესია,
ხართელი არამხუტუთი ართიანს მიოსქვესია,
გურგინი გიოდგუმაფეს: ევრჩქინდნანია მესია
34 დო აეტიში კორკონტის პეული ვადარკესია.

იშენ გილეფში ნართეფშა, ჩქი ოროფალა ფჩალუნდეს,
ხეს მინწყუნდესუ შარეფი, ყურდეფი მიმარჩქვანუდეს,
ის ჩქიმი რჩქილა ვაკოდუ, ურუმულს იჯგარჯგალუდეს,
მარა გერჩქინდი კირბიქ დო გოფაფრთხი მუდგა ბჩალუნდეს.
35 ვანობჭარუე მოთავა დო დიჭყუ შურიშ ცოთამა.

ოდი, ნართეფი რნჯღვერუნა, სათანხე დიდა — ხანტური,
გიკვანწუანა ონწესი, ხონარს გეკიღანს ფანდური,
მირულექ შხვეფიშ უმოსო, აქილევსი რექ ნანდული,
ვემკანჭუქ მამდასქუალეფს, ნართეფშო რექი ხანდული,
36 აეტი შორშე რზიმუნსუ დო შურსი გეკორსიმუნსუ.

კირდეს მეუნქი კუმინით: მუჭო რე გუმოჭყორდია,
ჩქიმეფს გურგინი გედგინი, მა მაფუქ გვალო მორდია.
ჯიშტის მეხარუნქ ჟი დო ჟი, არამხუტუქუ: სო რდია?!
კიდირსი ქიმახუტოლი, შულადირ გური მორდია!
37 ჰოდო, იჭყაფუ გურაფა, ჟინცაშა გინოტყურაფა.

ყირჭალ რე უნჩაშ არგოსი, კიტისორე რე კიტალი,
ჭითა მელასის არჩქილე არწორო გითალ-მითალი,
ნაკიდურა რე ფრონტისი, სქან მაგანა დო მახანა,
ოთხხოლო ჯიმა გევინჯი, ართათი გლაყაყანა.
38 ფრიქსექ: ურუმეფ რეთია, ბერექე დირთინეთია!

ბაბუ ქიმეჩანს ხვამარდის, ზღვაშ ლებას ნამუთ გეკოცენს,
იხ კოკიაშა ქაფართხანს, თოლშე ჩილამურ გეკოწენს,
არგონავტეფი ქოძირნა, არგოსი ნინას გაკონწენს,
ჩქინჯურე ქეწაჯუნუნა, დიდაში კართე გეკონწყეს,
39 ინტებნა კირიბიშამო, უნდო ურუმულ ჯიშამო.

ეგიპტეს ჯიჯი მიწონებ აქციუსითი ნათილი,
ეშ ფაეტონი ჯოხოდუ ცხენეფ უორდუ ჭკადილი,
ირო აეტის ონირზუდ თინა ოჭიში ჭყვადილი,
ქიმუკათინეს ატუმს დო თექით ვემერკებ სადილი.
40 ჰელიოსიში პოლსია, მითინსი ვარზენს ტოლსია“.

ფაეტონიში ქუჩუჩი ჩხორიას მიშეხართებუ,
ბარბალქი ცხენეფს უწორუ, ღურალა მიშეთ ხათრებუ,
ეკაბ დაჩხირიშ კუდელი დო რინი უდუმარდებუ,
ხაპიშა დოღიმინწელე ვაშჭარა უგუმართებუ.
41 მითინ ველურე ხასილას, ჯიმას ხენცფალას ვაცილანს.

ეაში აკა მამფალი, სი რექ აიდიშ მეშარე,
შუროთ ვაიჩქუნ ეთეში კოლხობა სქანი გეშა რე,
ბრელ ქომოლიშო ოსური გოსკუბოჭილი ჩხეშა რე,
ნამთინე ქიმიახალე, ნამთინე ქიმიჯვეშარე.
42 თასილი ანდა ეშმა შქას, სქუაქ უფალშა გეშმაშქვას!

პასიფაეშა ქიმერთი, თექ ლაბირინთი დორხვადუ,
ქოქა კარიშა მინილი ცხენი ქულა დო ორღათუ,
ხეთე გენტებუ განთხიშე ძვალი ქუა დო ღორღათუ,
ტკილი კიდალას ქათხოზი, მონკა კარეფი მორხვადუ,
43 ხექ შურო ქიმგალიბუდა — ღორონთქი გოიტიბუდა.

მუს ობაღუდუ პასიფეს, ჭკოლა ქომონჯი მინოსი,
ქორძირუნსი დო ხეთელე ქეთქაღერკელუ მირნოსი,
დელიბარებუ გელაზი, ოზალი რენდა გინოზი,
საღონეთ ურძღაფელასი ვითიშა ქიგაწკიროზი,
44 მობაღუნია, გინინსუ დო ქიგედირთუ ბიწკისუ.

გესინთორებუ წკვარამი, კირბიში თოლით გეხანტი,
ხეთე გეგენქი ქულამურს უროთი მუშენ მეხანდი,
ხეთე გეგენქი გირინეფს რკინათი მუშენ კეხანდი,
ხეთე გეგენქი მურიგო ითართუდი დო ლეხანდი,
45 ფოქვას ქათხოზი ბოლოშა დო გეიშაგუქ დოლოშა.

ლაბირინთი რე გვერშაპი, პიჯშა კუდელი მილუძუ,
თექ მინულირი იბორჯებ, ღურუ თიშენი ვილუნცუ,
მანგას სოვრეთინ ვეჭვართე, ინა წრიულო გილურცუ,
ჟინიშ ჭყოლოფა დღალეფსი შორო-ბორულო ნჩხილუნცუ.
46 სო გოკონ ეთექ დოქურსე, მუჟამს შქირენას ვაგურზე.

პასიფე ბაბუშ და რენ დო კინკის უჯჯინე კოჩისუ,
მითინქი ვადაჭორუნი, ხარი გუფაჩუ ხოჯისუ,
თიშე ურჩხული გევრჩქინუ, ასეთ მიკაჩნა ჭოჭისუ,
ვადოსქილადე საგანოს ცირა დო ბოში მოჭიშუ,
47 დოზუკოლირით ქოჩ ეჩო, ირფელ გინირთუ ნოჩეჩო.

კირკეშა მუ დეღალებე, ვარა მუს გორგუ ჰეკატე,
კინ ფაეტონშა ქიმერთი, შური კიდირშა ქეკატე,
ვაპალუ ზისხირ ჩქინობრა გოკონდა დუდი მეკვათე,
მარა ჭკვერულას ურჩქილი მუდგა გეჩუას დეკადე.
48 ფირქის სქანობრათ აშენი, მუ გენებ მორჩქილაშენი?!

ახუჯანს უმართ-სამართი, ფარაონეფსი ნჯღვერუნდუ,
ენგიდუნიას ლურდუნი, წურფა მურიცხეფს ჩხვერუნდუ,
ვანას გოლოფა ხალუნდუნ, ინა ოროეფს შქერუნდუ,
არჩქილედ არამხუტუსი, მაგურაფალი ჭკვერ უნდუ.
49 ტკილსით გექვანთუ წყარეფი, მარა ვეკუცენს წარეფი.

სი დობკორობუნქ კირიბის დო ობადიშშა გეკურქი,
ასე ჩალამეფს ნტყოლირი ჩელა ბუაცალო გეკურქი,
აგაფაშ ნახა ქობალი, ამარ, რცაფულუ ლეკურქი,
ღვინქი ბინეხშე ჭვალირქი ოში ლაგვანი გექურქი.
50 ლიშის გენტირე ჭუჭელე დო ოჯალეში წუწელე.

სი ნანჭყოლაშე ვაშქურდა, აგამემნონიშ ნაფენთა,
ჭკუაში დაგურაფალო რე ღორონთიში ნაფენდა,
არეშუმ ვეი ანჭიშე, კანეფი ვამართაფედა,
ქობკვეცუნქიდა — დამჯერი, ქოფუბჟღანქიდა — ვამენდა,
51 გოკონდა ქანაქ დინწალას, მინორე მუთუნს გინძალანს?!

ჰა, ქიმგაზარი ქარონშა, ანწი სით ოკო ქირგენი,
კიბირშა ფარა გინძგილე — ზისხირ დო ხორცი დირგენი,
მა ელებყურშუქ ლეთასი, მირკანი რენ თუ კვირკვენი,
აზონიშ ბოშის ონდარო კირბიში ვევოდირგენი“.
52 დაჩხირიშ ბარბალ ირთანსუ დო პელაგონი ღირთანსუ.

ᲙᲘᲠᲑᲘ III. ᲡᲘᲢᲧᲕᲐ — ᲜᲘᲜᲐ

„არამხუტუ: ოდი, სიტყვა დუდშენო რდუ, ღორონთი რე,
ღორონთწკუმა ზოჯუნს თინა, ასეთ თიში ოროთი რე,
ენა რენ დო ნინა რენ დო ჭყოლოფა დო ჭყორონთი რე,
ტომი რენ დო თომი რენ დო ულამინ რენ დო ჩხორონთი რე,
53 უფალიში მოტოლუა რე სიტყვაში გოთოლუა.

შუმერქ დიხაშ ფირფიტეფსუ ირფელ ართო თაშ ეხანტუ, —
ენაძირე მობორდიშეს, — უფალიშა აშმეღანდუ,
ბუალარაში ხეშქაგურშა დიხა რთაფათ ქაშეღანდუ,
ხე ჯა-ნერჩის ქუპოტინუ, ღობერეფი ქაშეღანდუ,
54 იონა რდუ მეხვამარდე, მუჟამს გვართაქ გიღ ამარდე.

ამშვი დღაში დინარცხუა ირფელს ართო გაცაცუნი,
წკვერემიათ დოქუნილი სინთე ნერჩის ათაძუნი,
დოლოს, ინით გოსქანჩილს, შური რინშა აწაწუნი,
მარა ურენს მუჟამშახით ჩხურუ ვემკიკვაწაწუნი.
55 სიტყვეფით რე რაბადელი, ღორონთიში რაგადელი.

ვითოჟირი მილიარდი წანაშ მეტ რე ქანა ირთანს,
თუთა მინშა იშირუნ დო, მინშა უჯეფ გილუფირთანს,
მეფურინუნს გალაქტიკა, მეუპონუ წყარეფ კირდას,
დღამუშისი იკილოთუ, ჩაფლაშ ნარჩაქ ვადუშირდას.
56 ოდი, თება დოჭყაფა რე, ოდი, ლება მონჭყაფა რე.

ჩქინდა მითინს ვავკითხირუ ბჟას მუშენი ოფორ დიხა,
ვარა ვითი ელმავინჯე მუშენი რე ნაბორდიხა,
ჩქი ართ თუთა მაპალუნან, მერკურიას შურო ვაუნს,
მარსის ჟირი გათართალუ, ნეპტუნს ბრუო გილამაუნს,
57 ვითოჟირი გართანს ურანს, შხვამოლეშე მეტი ურანს.

სინთე, ნამუთ ჩქი ბჭოფუნან, სუმკუნთხულო მიშქუმალუ,
ეშ კონუსიშ ფორმა უღუ, საწმოხუნოთ დიშქუმალუ.
ვაგათქუე მუქ ეცაცუ, სონ მალი დო მიშ მაგორუ,
სინთე, დიხას ურთანსინი, ირ მირსხალსი მიშმახორუ.
58 თე რჩქინათი კიდა-კიდა, გერე ბრელი პირამიდა.

ქუა ქუას გენწკარილი ტორნადოეფს ურთანსუნი,
ითამ დიხა უხონუდკო კიდირჩელა გურთანსუნი,
ფარაონი შურიშ ლაფას ცაშა გეშაბურსანსუნი,
ღორონთისი მიაკათუ, ლალაქ — ღურუ დურზასუნი.
59 სუმ-ოთხითი აკონწყელე, ეფურნათი აკონწყველე.

ქურუმეფიშ წერილეფით ჭიჭეს ქეთიეფრსქემუა:
შუმერს ოფუ ეჭარილი ატლანტიდაშ ქვერსემუა,
მუჭო გეთოლ მურიცხიქ დო ირფელქ ართო მისიროტუ,
დიხაშ ღერძექ გეგნიკინუ, ნამუთ თიშახ ისირო რდუ.
60 ეკინა დო დოკინალას, ნიტე კოჩიქ სო გინოლას?!

სინდიყცალო გეკიფაჩუ: კავკასია, ჰიმალაი,
ანდეფი დო აპალაჩი, მინს გვალაშე გიმალ აი,
მინშა — შურიშ ეშალაფა, მინშა — შურიშ დგიმალაი,
ულიებუ სქიბუებით დუდიშ გინოქუალაი.
61 ზღვაშე ჭვეთი ასქილადუ, ფენთილ გური ვასქილადუ.

იხორუ დო დუდშე იჭყანს ჯვეში რჩქინაშ თასუასუ,
გიოჭარანს ქვიშასი დო გვართა ჭიშუ ლასუასუ,
ნიტე ართშა ქეშეტენდას ფარეფიში კასუასუ,
გურგინიშა მონჭუაფე ზენშა გეშაკვაზუანსუ,
62 ობჟინუანს ავრე ოროს, ედემშამო შორო-ბოროს.

გალიასი ბჟასკუა რე, ალბიონს — გელეფინი,
ოდი, ჭვირთი მორხვადუდა, მაჯერღვია ქელეფინი,
ყებერი რე ბაბილონსუ — გექიმნელი სელეგინი,
ეტრუსკი რე იტალიას, მუჟამს ტროას ველეყინი.
63 ცაშა მუთუნ ვედიღალე, გებდვალუნა მედიხალე.

მართალი რე ვაუჩქ ინას ბედშა დუდიშ ათოდვალა,
მარა მი რე დობადონას კინი თიში მაცოდალა?
ღორონთიში თასი ჯოხო, მუსხი ოკო გეჩუალე,
საწმოხუნოთ მელენ დღაშო მუთუნითი ვეჩუალე.
64 მეცენს ქუა ოხვამერი დო სისქვამე გოღანერი.

ქარღადიშა ვატყობინე კოჩის ფსქე დო სამოხიო,
გურწყორილო ქორძირუნსინ, თქუანს: ხელეფ ამოღიო?!
დასქელენქინ — გიწოლენსი: მუშენ ბღოლი კინ ჩიხევა,
დათხითხორენქ ძალამსი დო, მებტახიო კვინჭიხევა.
65 თიშ კუსაფი დო სოფინი, ვედინტირინე სოთინი.

ოდი, ფოთქვი ვაგაში, უმკუთვალუ მურიცხის,
აკა, უფალ გიზალანს რინობუა ურიცხვის,
მენცარობა რსიროტუნს დებადებუქ მუ რიცხვის,
მუჟამს კითეფ დოიჭყანს ხეკვარჩხულო ბურიცხის.
66 გოკო ირო თელუა დო შურს ისანთელუა.

შურუბადოს ვალასე ჯგირობუაშ ბანდღუა,
შურუბადოს ახუჯანს რინაშ ეკოლანდღუა.
დოსქილადა ვეპალუ, ჟირშა მითინქ ვეფალუ,
გესანწალინ — რინობაქ რობუს ქენგობებალუ.
67 შუბარზამ დო რჯგინიაქ: მუშენ ემორჩქინია.

იქვანთალუ თაქ ირფელი ხუმლა გოჭყოლადირითუ,
ოოფარი მინჭუაფუ ნოელეფი ლადირითუ.
ბრელშე ბრელი უხერხესი არგუნეფი კვათირითუ,
იგვარგვასანა ბორჯალეფი მორსხებელა-ჭყვადირითუ,
68 წყარ დო დაჩხირ ართო ხენა, ართო გილაკატორღენა.

გემკოხარცქე შქა გურიშე მართუეფ დო ფაფალარა,
მესიროტუნს ნოქურისი ჰავა გილნაჯაქალარა,
უდეს დოლო მინოჩანსი, თოლეფ ტუტათ ისილოგუ,
მინ იგვაჯ დო მინი ორჩანს, ტყა ოროთი მიზილოკუ.
69 ოდი წყარეფს ბოგა ვეში, დიხა რე ჩქინ ოკვანეში“.

გიმანტირენ თირანსი დო გეწი-გეწი მერეხანსუ,
ურწყებელა ზღოურეფი თოლონჭესი ბერეყანსუ,
ინი გედგუ უღუცალო, გორგალეფსი ჩერეხანსუ,
ბუაკე წარსი მიკმაბინუ, მანჯას ზისხირ ჭერეხანსუ.
70 მოთალეფი მოჭიშენი, მარდი ღურა კოჩიშენი.

გოთანდუნი — კინი მურსუ, ოდი ბოში, ოდოია,
ჩეჯაცალო გოლაფირ დო მუმაცალო ლოდოია,
ცირეფიშა ვეტყაბარე, ხუჯის გინაბ კოტოია,
წურფა თხირით ეფშაფილი, ჭითა, ქვარა გოდოია,
71 აეტიში თარი მოთა, სათანხუშე ნაგორგოთა.

ვითოჩხორო წანა გოლ დო დღალეფ მოძუ ღურაჯგურა,
თოლს უკმელა ქენაფორუ, გუსქანჩუნს ძვალეფს ჩხურა,
შურო სოთინ ვეგმადირთუ ჰალიძონეფიში ნჯღურა,
მუშ ნაჭკადა ფულანდითი, მოძუ შურიშ გინოჟღურა.
72 ნტერი ხვამი — ისქანებუ, კერზის ევძახ — ისქვამებუ.

ფრიქსე მუშქვანს არამხუტუს ბაღანეფსი ფოხალითუ,
ეგებ მუთუნ დაღალანი ჭუეფიში გოღალითუ,
ხეთე უჩა ქიმუღანა საწმოხუნო ოღალითუ,
მოუნს კირდეს ოდი ბოში კუსაფი დო ღოღალითუ,
73 ბატიცალო მიჩერჩელუ — მირდუ დო ჭეს გიჯერჯელუ.

არამხუტუ გუფაჩუნსუ ბონიშის დო ღულაშისუ,
ჭაბუცალო მიკიჭოფანს სქიდირი დო ულაშისუ,
ირო თხირსი გუდორუნსუ, კიბირ ცხენიშ რჯულაშითუ,
მევხარჭუანს ჭითა კოტოს, ყურდიშ გურიშ წულაშითუ,
74 ოფსინ წყუში მოგვერდალა, კოჩი მუ რე ოგვერდალა?!

ეპისტროფო იჟღილინუ ნინანწარე მართახითუ,
სანდალეფსი ძიუთ ჭოფნა ბოჭოკიში არტახითუ,
მალას უდე ქიდასქიდუ ნოხორი დო პარტახითუ,
ილიონსი გეგნარკვანუ ჰამო რინა კვარწახითუ,
75 მორო ბრელი წანაშ მელე — ასე ორტყაფ მოშქუმელე.

დობერასი მედეია წილუნს უჩა მუიასუ,
ძიგირიში ნაცხაბარას კარკაციი ურკიანსუ.
„ᲐᲠᲐᲛᲮᲣᲢᲣ: **ჭოროფა რენ დიხიროკუ გოლოფათუ,**
გოლოფა რენ გოჟიჟონდუ ურწყებელა ჭოროფათუ.
76 ართი ჯაჭვით ვოკირუთუნ, ინა კირუ ჩხოროფათუ.

ურუმეფი ურუმულო სქვენა კარიშ მაკილარო,
პუხუს ცოდა მუნოძნანი, ობაღუნა საკილარო,
ნარკვანა რე ჯვეში ტყურა ქურს მეგამლი კაკილარო,
კირიბ რდენი გინაშქვანა ალალ ჯიმაშ მავილარო,
77 თოლსი ვადუფაფუანა, სქუას დაშქვიდაფუანა.

ა — მედექ დო აქილევსიქ ლეთა გეგნოლოჟურესუ,
რინშე ეწირადილეფი ეკიკათნა ოშურესუ,
ცირას ვადაცირალებე, ბოში ვედიბოშურენსუ,
აგაშ ფერი ელაშუშნა ლაკარტეფქი დოშურასუ.
78 ოხვამერ დო პიჩუანუ, ირფელ ჰავას იჩუალუ.

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲘ:

ჰალიძონეფი — ხალიბები, ალიბები, მჭედელი ხალხი, ფოლადის გამოდნობის მესაიდუმლენი, ამიტომაც არიან დაწინაურებულნი ისინი ნართებთან(განაყარ ხალხთან) შედარებით, რომლებიც ძირითადად მწყემსები არიან, მესაქონლეობას მისდევენ. ამ ორ ეთნიკურ ჯგუფში გამოკვეთილია მატრიარქატისა და პატრიარქატის აშკარა დაპირისპირება; ჰალიძონები უკვე ოქროსთან, ფულთან დაკავშირებული ხალხია, ხოლო ნართები — დედამთავარის, ალმა მატერი სათანეი გვაშას გარშემო დარაზმულები, ამას მოწმობს მისი შეუზღუდავი თანაცხოვრება მამაკაცებთან, რომლებთან ურთიერთობისას 101 შვილი გასჩენია. ის, რაც ნართისთვის ცხოვრების წესია, ხალიბისთვის ანუ დანარჩენი კოლხისთვის — მიუღებელი, დამამცირებელი. ამიტომაც არ აღიარებს სათანხე გვაშას კანონიერ რძლად აიეტ მეფე; **ეპისტროფოსი** — ჰალიძონების წინამძღოლია ტროაში ოდიოსთან ერთად (ჰომეროსი); **ოდიოსი** — იგივე ოდი, ოდოია, ოდინი, იგრის მზიდველი, პოემის მიხედვით აიეტის შვილიშვილი: **აგა** — სიკვდილის განსახიერება; ტროა — ილიონი (ღმერთის კარიბჭე), კოლხური წარმომავლობის ხარკით დასახლებული ქალაქ სახელმწიფი შავი ზღვის პირას; **ქრისე** — კუნძულ ქრისეს ქურუმი აპოლონის ტაძრისა; **ქრისეისი** — ელხე, ქურუმ ქრისეს ასული; **ატრიდი** — აგამემნონი, იგი ატრევსის ძე; **ეა** — აია, კოლხეთი; **აპოლო** — აპოლონი, ხელოვნების, მეცნიერების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; **კალქანტი** — მისანი, მარჩიელი ბერძნებში; **აგამემნონი** — ბერძნების გაერთიანებული ლაშქარის მხედართმთავარი, მიკნის მეფე, მენელაოსის ძმა , ელენე მშვენიერის მაზლი; **მიკენი**— ბერძნული სივრცე, განარჩევენ პროტოქართულ კრეტისგან. ერთობლივად კრეტა-მიკენად მოიხსენიებოდა; **არგონავტეფი** — გემ არგოს ეკიპაჟი 50 მეზღვაურით; **თებე**— ეგვიპტეს მთავარი ქალაქი; **ამარანტა** — ამირანმთა; **სირინოზეფი** — ჯადოსნურად მომღერალი ნიმფები, რომლებიც მეზღვაურებს ჭკუაზე შლიდნენ; **სკილა, ქარიბდა** — ზღვის ურჩხულები; **მედეა** — აიეტის უმცროსი ასული, ეას ველობი, ანუ კოლხეთის მკურნალი (პროფ. მ. ჩუხუა); იაზონზე შეყვარებულმა ასწავლა აიეტის დავალებებისაგან თავდაღწევა, ხელში ჩააგდებინა ოქროს საწმისი და უცხოეთში გაეკიდა; **ჰელი** — ღმერთი, მზის ღვთაება; **ურუმული**— ბერძნული, ბარბაროსული, არაცივილიზებული პელაზგისაგან განსხვავებით; **აქილევსი** — პელაზგი, დედით, კოლხური წარმომავლობის ნიმფა თეტისასგან და მამით პელევსისგან გაჩენილი უმამაცესი გმირი, რომელსაც სასულე ადგილი აქვს ქუსლი, რადგანაც დაბადებისას მეანს ამ ქუსლებით ეჭირა და ისე ამოავლო უკვდავების წყალში; **არამხუტუ** — არ -ანხ (ან-ქი) უთუ, კოლხების პრომეთე, უმთავრესი ქურუმი, ოდის მასწავლებელი; **არგოსი, კიტისორე, მელასი, ფრონტისი** — აიეტის შვილიშვილები ქალკიოპესა და ფრიქსესგან; **ატუმი** —მზე; **ჰელიოსიშ პოლი** — მზის ქალაქი; **პასიფეა** — აიეტის და, მინოსის ცოლი, რომელსაც სჭირდა სექსუალური დაუკმაყოფილებლობა; **ხაპი** — ნილოსი; **ლაბირინთი** — არქიტექტურული ნაგებობა, რომელიც შეეფარდება ადამიანის ტვინის აგებულებას. იქ ბინადრობდა მინოტავრი, რომელსაც შეეწყვილებოდა ხოლმე პასიფეა. მოკლა თეზევსმა არიადნეს გორგალით აღჭურვილმა, შევიდა ამ ძაფს დევნებული და გამოვიდა მისით; **აიდი** — საიქიო; **მინოსი** — პასიფეას ქმარი; **კირკე** — აიეტის და, იტალიელების ალმა მატერი; **უმართ-ასმართი** — ჯადოსნური ხელსაწყო, ნართებთან ჩარხი, ხევსურებთან, ლახტი, სკანდინავიელებთან ურომოლნირი; **ჰეკატე** — აიეტის და, სამკურნალო მცენარეების მცოდნე, მედეას მასწავლებელი; **ენგიდუნია** — ენ-ქი დუნია — ცა-მიწა-ქვეყანა; **ლეთა** —დავიწყების მდინარე, ლოტოსის ყვავილივით; **აზონი** — იასონი, მედეას ქმარი; **მირკანი** — მარტი; **კვირკვე** — ივლისი;

გაგრძელება შემდეგ ნომერში



გთავაზობთ, ზვიად გამსახურდის ინტერვიუს, რომელიც 1992 წელს „ნაროდნაია პრავდამ“ ჩაიწერა. ზვიად გამსახურდიამ ამ ინტერვიუში ყველაფერს დაარქვა თავისი სახელი... ზვიად გამსახურდია ამ ინტერვიუში გულახდილად მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ მოხდა გლობალისტური ძალების მიერ საქართველოში დანაშაულებრივი პუტჩის ინსპირირება. ზვიად გამსახურდია ამ ინტერვიუში ამხელს ევრო-ამერიკული იმპერიალიზმის მესვეურებს ეროვნული სახელმწიფოების წინააღმდეგ შეთქმულებაში. ასე რომ, ეროვნულ-პატრიოტობაზე პრეტენზიის მქონე ადამიანებს მივმართავთ, რომ ძალიან დიდი ყურადღებით წაიკითხონ ეს ინტერვიუ. კარგად გაანალიზონ ამ ინტერვიუში გაცხადებული აზრი და შეიგნონ არსი იმ დილემისა, რომლის წინაშეც აღმოჩნდა დღეს ჩვენი სამშობლო და საერთოდ კაცობრიობა. კარგად უნდა გავითავისოთ ყველამ, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია — გონივრულად, პრაგმატულად შევხედოთ რეალიებს და ფობიებს საბოლოოდ არ გადავაყოლოთ სამშობლოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები. ჩვენსავე ინტერესშია, რაც შეიძლება დროულად ბოლო მოეღოს ანტირუსულ ისტერიას და მეზობელ ზესახელმწიფოსთან ურთიერთკომპრომისების გზით გადავარჩინოთ საქართველო.

ზვიად გამსახურდია:

მმართველები მოდიან და მიდიან, ქვეყანა კი რჩება

„როცა სადღაც აფრიკაში ამხობენ მორიგ დიქტატორს, დაახლოებით ბოკასას ტიპისას, კაციჭამიაობაში მხილებულს, დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მთავრობები ამას განიხილავენ, როგორც „ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლების უხეშ დარღვევას“ და დიქტატორის საწინააღმდეგოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებს გზავნიან. მაგრამ როცა საქართველოში იარაღის ძალით დაამხეს კანონიერი ხელისუფლება, მსოფლიო საზოგადოებრიობამ ეს ფაქტი შეაფასა, როგორც ქართველი ხალხის თავისუფალი ნების გამოვლინება.

იმის გასარკვევად, თუ რით აიხსნება დასავლური დემოკრატიის ესოდენი გულგრილობა სახელმწიფოს კანონიერი ხელისუფლების ბედისადმი, მივმართეთ თავად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას.

- მთავრობები, რომელთაც თქვენ დემოკრატიულს უწოდებთ, სინამდვილეში კარგა ხანია განუდგნენ დემოკრატიას. დემოკრატია იქცა ცარიელ სიტყვად, რომელსაც თავის ნებაზე ატრიალებენ დასავლეთის მთავრობათა ამა თუ იმ პოლიტიკური ინტერესების შესანიღბავად. როცა ამ მთავრობებს სურთ გააძლიერონ თავიანთი გალენა და სამხედრო ყოფნა რომელიმე რეგიონში, თავდაპირველად ცდილობენ მოისყიდონ ამ ქვეყნის ხელისფლება და თუ წინააღმდეგობას წააწყდნენ, უბრალოდ, ამხობენ მას. ასეთ შემთხვევაში მათთვის არა აქვს მნიშვნელობა დამხობილი რეჟიმის ხასიათს: დემოკრატიულია იგი, თუ ავტორიტარული. ეს მტაცებლური მიდგომა სხვა ქვეყნებისადმი დღეს საბოლოოდ დამკვიდრდა ნატოს სახელმწიფოებში.

— აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ყველაზე მძლავრი სახელმწიფოები უკვე აღარც კი ცდილობენ შენიღბონ თავიანთი ზრახვები და აშკარად და ცინიკურად თრგუნავენ სხვა ხალხთა ნებას. სწორედ, ეს მოხდა საქართველოში.

— ბატონო პრეზიდენტო, რას წარმოადგენენ ეს მსოფლიო ძალები, ესოდენ თავისუფლად რომ ერევიან უცხო სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში?

— კაცობრიობის მტრებს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: ისინი მიზნად ისახავენ ყველა სხვა ხალხის გენოციდს; პლანეტის მთელი მოსახლეობის ერთი განსაზღვრული ჯგუფის გამოკლებით. ეს ჯგუფი მჭიდროდ არის დაკავშირებული შეერთებულ შტატებსა და ევროპასთან და მთელი ძალით მიილტვის მსოფლიო ბატონობისაკენ. ზოგადად, მე მას ევროამერიკულ იმპერიალიზმს ვუწოდებდი. მთავარ დამკვრელ ძალას მასში წარმოადგენს აშშ. შეიძლება ითქვას, სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში იმართებოდა ოკეანის გაღმიდან. აშშ-ის სახელმწიფომდივნის ჯ. ბეიკერის პირადი მონაწილეობით და ბუშის ლოცვა-კურთხევით.

ბეიკერმა პირდაპირ მოუწოდა პუტჩისადმი საქართველოს ბანდიტურ-ოპოზიციურ დაჯგუფებებს (ამერიკაში ჩინებულად იცოდნენ, რომ ოპოზიცია საქართველოში კრიმინალური მაფიისა და ყოფილი პარტოკრატებისაგან შედგებოდა). ბეიკერმა მკაფიოდ მიანიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ უჭერდა მხარს საქართველოში არსებულ რეჟიმს და არაფრით დაეხმარებოდა მას. სცენარი გადატრიალებისა, რომელიც აშშ-მ მოაწყო საქართველოში, ადრე არაერთგზის გამოუყენებია ამ ქვეყანას პლანეტის სხვა რეგიონებში.

— რით ვერ დაიმსახურა თქვენმა ხელისუფლებამ დასავლეთის კეთილგანწყობა?

— ჩვენ მივესწრაფვოდით დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას, არ დავემორჩილეთ დასავლური სახელმწიფოების დიქტატს, არ ვიქეცით მათი ინტერესების მსახურად, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ არ დავუშვით, რომ საქართველო დასავლეთის კოლონიად ქცეულიყო.

დასავლეთს კი მხოლოდ ისეთი ხელისუფლება აძლევდა ხელს, რომელიც უსიტყვოდ აღასრულებდა მის ნებას. ეს იქცა ერთ-ერთ მიზეზად სამხედრო გადატრიალებისა და ხელისუფლებაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცრუ) აგენტისა და ევროამერიკული იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტის მოსვლისა.

მაგრამ დასავლეთის წყრომას ჩვენს მიმართ კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა. სახელმწიფოს სათავეში მოსულნი, ჩვენ ვესწრაფვოდით ეროვნული კულტურის აღორძინებას, ხალხის შეკავშირებას ეროვნული სულისკვეთებით, რათა მას მთელი სიღრმით გაეცნობიერებინა, რომ გაცილებით ძველი ისტორია აქვს, ვიდრე ბევრ ევროპელ ხალხს... ჩვენი პოლიტიკის ეს ეროვნული ორიენტაცია არ იწვევდა სწორედ საერთოევროპული სახლის მესვეურთა აღტაცებას, რადგან ოფიციალური დასავლეთი (მხედველობაში მაქვს ხელისუფლებანი და არა ხალხები) ებრძვის ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობას. მათი მიზანია, გაანადგურონ ერის ნება საერთოდ და შექმნან ერთიანი მსოფლიო კონგლომერატი, სათავეში-მსოფლიო ხელისუფლებით. ამ მსოფლიო მთავრობამ უნდა განაგოს ქვეყნიერება და დაამყაროს ე.წ. ახალი მსოფლიო წესრიგი. ახალი მსოფლიოს წესრიგის არსია: განადგურება ყველა სახელმწიფოს (ქრისტიანული იქნება ის თუ მუსულმანური, რელიგიას ისინი არ ანიჭებენ მნიშვნელობას) დამოუკიდებლობისა, გენოციდი ამ ქვეყნების მოსახლეობისა და საბოლოო დამორჩილება მთელი პლანეტისა.

ძალები, რომელთაც ეკისრება მსოფლიო ხელისუფლების ბატონობის შემზადება, სხვა ქვეყნებს განიხილავენ მხოლოდ რესურსების თვალსაზრისით. მათი მიზანია, ეს ქვეყნები თავიანთი ხალხებით, მთავრობებით, კულტურებითურთ აქციონ უბრალოდ ტერიტორიებად, სადაც მოსახლეობას დატოვებენ მხოლოდ მსოფლიო ელიტისათვის საჭირო რაოდენობით. ამასთან, სრულიად დემორალიზებულს, მზადმყოფს მისი ინტერესების სამსახურისადმი. ამ ზრახვათა განცხორციელებას მხოლოდ ხალხთა ეროვნული თვითშეგნება და ეროვნული სახელმწიფოების შექმნა შეიძლება აღუდგეს წინ. ამიტომ ებრძვის დასავლეთი ეროვნულ მოძრაობებს, ამიტომ ცდილობს ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღებას და ომების პროვოცირებას. მაგალითად, იუგოსლავიაში მიმდინარე ომი მათი ნამოქმედარია. ეს შემთხვევით სტიქიურად აალებული კონფლიქტი კი არ არის, არამედ მიზანმიმართულად გაჩაღებული ომი, რომელშიც უნდა დაიფერფლოს ეროვნული იდეის მატარებელი ხალხი. დღეს დასავლეთს იუგოსლავიის მოდელი დასავლეთიდან გადააქვს კავკასიაში, ხელოვნურად მწვავდება ეროვნებათაშორისი დაძაბულობა. შემდგომში ხან აქ, ხან იქ აფეთქებული ლოკალური კონფლიქტები დასავლეთს მისცემენ საბაბს პირდაპირი სამხედრო ჩარევისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალთა სახით. სულ ახლახან გაკეთდა განცხადება, რომ ნატო ქმნის სწრაფი რეაგირების ძალებს, ასი ათასი კაცის შემადგენლობით, რომელიც ჩაერევა მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში მიმდინარე მოვლენებში. ფრიად საყურადღებოა, რომ ამასთან დაკავშირებით მოხსენებულ იქნა კავკასია და იუგოსლავია.

— ბატონო პრეზიდენტო, თქვენ განზრახული გქონდათ ისეთი სახლემწიფოს აშენება საქართველოში, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა ეროვნული ინტერესებისაკენ. რა მიგაჩნიათ უმთავრეს პირობად ეროვნული სახელმწიფოს აშენებისათვის?

— პირველ რიგში, აუცილებელია შემუშავება ისეთი მექანიზმისა, რომელიც უზრუნველჰყოფს ქვეყანაში მოსახლე ყველა ეროვნების ურთიერთთანხმობის მიღწევას, ეროვნულ უმცირესობათა უფლების განუხრელ დაცვას.

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ შინაგანი სტაბილურობის მიღწევა შეუძლებელია ძალადობისა და ეროვნულ უმცირესობათა დათრგუნვის გზით. აუცილებელია გადასვლა ერთ სახელმწიფოში ეროვნებათა თანაარსებობის ისეთ ფორმაზე, რომელიც ხელსაყრელი იქნება ყველასათვის, როგორც ეკონომიკის სფეროში, ისე ეროვნული კულტურის შენარჩუნების უსაფრთხოების თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსოფლიო კოსმოპოლიტური ძალები, რომლებზედაც ვლაპარაკობთ, უსათუოდ შეეცდებიან რომელიმე ეროვნების უკმაყოფილება გამოიყენონ სახელმწიფოს დარღვევისათვის. ეს მათი ნაცადი და ქმედითი ხერხია. თვითგამორკვევის პრინციპი რასაკვირველია, არ უნდა დავიდეს აბსურდამდე; მაგალითად, თუ დღეს რუსეთში ვოლგისპირელმა გერმანელებმა გერმანული სახელმწიფოს შექმნა მოინდომეს, ეს ყოვლად დაუშვებელ მოთხოვნად უნდა შეფასდეს.

— რატომ ქმნიდით მაინც და მაინც ეროვნულ სახელმწიფოს? საერთოდ, რაში სჭირდება ადამიანს ეროვნება, თქვენი თვალსაზრისით?

— სწორედ, ეროვნული თვითშეგნება აქცევს ადამიანს ადამიანად. ეროვნება არა აქვს ცხოველს, სარწმუნოება და ეროვნება ის ძირითადი თვისებებია, რომელნიც ადამიანს სხვა სულიერისაგან განასხვავებენ და მისთვის ამ განმასხვავებელი თვისებების წართმევა უმძიმესი დანაშაულია ადამიანის წინაშე, დასაწყისი მისი, როგორც პიროვნების, დეგრადაციისა. დენაციონალიზაცია წინაპართა და წარსულის უარყოფა, ადამიანის სრული მოკვეთაა ეროვნული ფესვებისაგან. კაცი ადამიანურ აზრს მხოლოდ თავისი ეროვნული კულტურის წიაღში ინარჩუნებს, ამიტომ ადამიანის კულტურა განუყრელად არის დაკავშირებული მის ეროვნებასთან; იგი მშობლიური კულტურის მეშვეობით ეზიარება მსოფლიო ცივილიზაციას. ამდენად დენაციონალიზაცია ადამიანისა და დენაციონალიზაცია ქვეყნისა წყვეტენ მათ კავშირებს დანარჩენ სამყაროსთან და დაუცველს ტოვებენ მსოფლიო მასშტაბით ორგანიზებული კოსმოპოლიტური ძალების წინაშე.

— რა ძალები აღუდგნენ სახელმწიფოს შექმნას თვით საქართველოში?

— საქართველოში ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს ნომენკლატურულს უწოდებენ. კულტურის ეს მოღვაწენი დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ საბჭოურ წლებში და ახლაც ახალ პრივილეგიებს გამოდევნებულები მზად არიან ზურგი აქციონ მშრომელი ხალხის ინტერესებს. ამჯერად ისინი ე. შევარდნაძის გარშემო დაირაზმნენ. იგივე ნაწილი ინტელიგენციისა ძალზედ მჭიდროდაა დაკავშირებული ჩრდილოვანი ეკონომიკის სამყაროსთან, მაფიასთან. არსებითად, ჩვენთან, საქართველოში, მათ შორის არც არის რაიმე განსხვავება. ისინი ისე განუყრელად შეზრდიან ერთმანეთს, რომ ერთ პიროვნებაში ხშირად შერწყმულია ინტელიგენტიც და დანაშაულებრივი სამყაროს ავტორიტეტიც. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში წარმოიქმნა მთელი კლასი ასეთი ჰიბრიდებისა. სწორედ, ისინი ჩაუდგნენ სათავეში და განახორციელეს გადატრიალება.

ერთნი საქართველოში მომხდარს ახასიათებენ, როგორც „ბურჟუაზიულ რევოლუციას“, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს; საქართველოში არ არსებობს ბურჟუაზია, არის მხოლოდ მაფია და საქართველოში სწორედ „მაფიოზური რევოლუცია“ მოხდა.

— რით აიხსნება დასავლეთის ესოდენ გაზრდილი ინტერესი კავკასიის მიმართ?

— ეს რეგიონი ძალზედ მნიშვნელოვანია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, კავკასიის მფლობელი ფლობს ახლო აღმოსავლეთსაც და აზიასაც. ეს, სხვათაშორის, მუდამ ესმოდათ დასავლეთის ქვეყნებს, რის გამოც ბრძოლა კავკასიისათვის უძველესი დროიდან მიმდინარეობდა მათსა და რუსეთს შორის.

წმინდა სამხედრო თვალსაზრისით კავკასია წარმოადგენს ხიდს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რომელიც მეტად აუცილებელია ორივე მხარისათვის.

რუსეთიც კავკასიას ოდითგანვე განიხილავდა, როგორც მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ პლაცდარმს, მაგრამ რუსეთი დღეს სუსტდება და ამიტომ დასავლეთი მისწრაფვის ხელიდან გამოსტაცოს მას ინიციატივა, თავისი გავლენა გაავრცელოს ამ რეგიონში და ბოლოს და ბოლოს მოახდინოს მისი ოკუპაცია. მაგრამ ეს შეუძლებელია კავკასიის სრული „ბალკანიზაციის“ გარეშე. საკმარისია, რუსეთმა სცნოს მთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, რომ მათი სახით მყისვე შეიძინოს ყველაზე ერთგულ მეგობრებს, რადგან აქ მკაფიოდ განასხვავებენ ელცინსა და რუსეთის სახელმწიფოს, როგორც მფარველს დასავლური ექსპანსიისაგან.

— ბატონო პრეზიდენტო, თავად თქვენ როგორ ეკიდებით რუსეთს?

— ძალიან კარგად. ვიმედოვნებ, არც თქვენ აიგივებთ ელცინსა და რუსეთს! მმართველები მოდიან და მიდიან, ქვეყანა კი რჩება. მე მიმაჩნია, რომ როლი, რომელსაც დღეს რუსეთი ასრულებს კავკასიაში, არ შეესაბამება მისსავე ინტერესებს და ოკეანის გაღმიდან აქვს თავსმოხვეული.

ჩემთვის არ არის უცხო პრორუსული განწყობა. მე მუდამ მივესწრაფვოდი მჭიდრო კავშირს რუსეთთან და ვოცნებობდი, საქართველოს ჰყოლოდა ბუნებრივი მოკავშირე ამ თავისი დიდი აღმოსავლელი მეზობლის სახით. მაგრამ ეს არ აძლევდა ხელს დასავლურ სამყაროს და მის მორჩილ ხელისუფლებას რუსეთისა. ისინი განაგრძობენ ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღებას კავკასიაში. შედეგად, ჩვენ ვდგავართ ამ კონფლიქტების დიდ ომში გადაზრდის სავსებით რეალური საფრთხის წინაშე.

მე იმედი მაქვს კონფლიქტებში ჩათრეული ხალხების; პირველ რიგში, რუსი ხალხის საღი აზრისა და გონიერებისა. ვიმედოვნებ, იგი შეიგნებს, თუ ვინ და რა ინტერესების კარნახით უბიძგებს რუს ჯარისკაცებს ახალი კავკასიური ომის უფსკრულსაკენ. ამ ომში ვერც ერთი მხარე ვერ იქნება გამარჯვებული. მხოლოდ დასავლეთი მოითბობს ხელს ახალი ომის ალზე.

მე მწამს ხალხთა სიბრძნისა. ეს არის უკანასკნელი, რამაც უნდა გვიხსნას კატასტროფისაგან.

„ნაროდნაია პრავდა“, 41. 1992 წელი. სანკტ-პეტერბურგი

ᲓᲘᲚᲘᲡ ᲜᲐᲛᲘᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲔᲨᲮᲘ...

პოეტური და პროზაულ ნაწარმოებთა მაღალმხატვრულ დონეზე შექმნილი სიდიადე აღაფრთოვანებს მის სულიერებას. სილამაზე და მშვენიერება, წინაპართა გმირული გამოძახილი, წმინდა სალოცავების თაყვანისცემაა წარმოშობით აბაშელი, სოფ. მაცხოვრისკარელი შემოქმედის ჯაბა (ჯამბულ) ჭანტურიას ცხოვრებისეული სულისკვეთება.

მის ლექსებში სჩანს უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, ქალისადმი:

„დილის ნამია შენი ეშხი თავადის ქალო,
თავადის სისხლის ზვირთებრ ლაღი,
რუხი ენგური.
შენი ქართული ჯოგის თვალის კლდის
ქიმს დგომაა,
და მორდუს ნანა, ასე ტკბილი
შენი მეგრული!“.

ჯაბა ჭანტურიას ლექსებში ასევე სჩანს ცალმხრივი სიყვარულისგან განცდილი სევდა და ტკივილი:

„ამ ცაცხვის ძირას იჯდნენ შენი ფიქრები,
ამ ცაცხვის ძირას ბებოს
ხელით უტარებიხარ.
ყველას უყვარდი, დედას,
მამას, ძმას და მეგობრებს,
მაგრამ ჩემსავით შენ არავის
არ ყვარებიხარ“.

ნიჭიერი ადამიანი დაიბადა ქ. გაგრაში. იქ ცხოვრობდა მშობლებთან და დასთან ერთად. ზაფხულობით აბაშაში, სოფ. მაცხოვრისკარში საყვარელ ბებიას სტუმრობდა. სამწუხაროდ, დრო-ჟამი აირია და პოეტური სულის ადამიანს აფხაზეთში, ომში მონაწილეობაც მოუწია. დიდი ტკივილი იყო გაგრის დაცემა... მის თვალწინ გაიარა გაგრის ტრაგიკულმა დღეებმა, დაჭრილთა კვნესა-გოდებამ და დახოცილთა უსასოებამ...

„და ეხეთქება თოლია ლოდებს,
და აგორდება ტალღა ზვირთებად.
ჩაჩეხილანო, ჩაჩეხილან ფიქრები კბოდეს,
დელგმაც, რომ სულში ჩაიზილა
როგორც კირთება“.

პოეტურ ნიჭთან ერთად ჯაბა ჭანტურიას აღმოაჩნდა სამსახიობო ნიჭიც. მან ქ. აბაშის კულტურის სახლის სცენაზე ითამაშა ოტია იოსელიანის ნაწარმოების მიხედვით დადგმულ სპექტაკლში „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“, შემდეგ, ქ. სენაკის დრამატული თეატრის სცენაზე განასახიერა სხვადასხვა საინტერესო როლები და მაყურებელთა სიმპატია და მოწონება დაიმსახურა.

უყვარს ქართული სიტყვა, ქართული ლექსი, ქართველი პოეტები და ყოველივე ქართული. დიდი სიყვარული და მოწიწება იგრძნობა გალაკტიონისადმი მიძღვნილ მის ლექსში:

„და გალაკტიონს უყვარდა მერი
მე შენ მიყვარხარ სულო და მერე,
გალაკტიონის ვარ ფეხთა მტვერი,
ჩემს ლექსებს ჩემი გრძნობები წერენ“.

მთელი გულით უყვარს და დიდი ინტერესით ეცნობა ლიტერატურას მშობლიური კუთხისას. მის მეგრულ ლექსებში განუზომელი სიყვარული და მოფერება სჩანს ყოველი მეგრული სიტყვისადმი:

„კებურს დაჩხირ იტკარჩალუ
ნორცხვა მორჩაფილი,
ჩილამურით დორტელენო
ნორჩალ გორჩაფირი...
ხვალე რინა მუთ გოხიოლ ჩქიმი ჩოჩაფინი?!
ჩქიმი აკა სი რექიშო, სორე მოჩქვანქინი!“

დღეს ჯაბა ჭანტურია ქ. სენაკში თავის მეუღლე თამარ წერეთელთან ურთიერთგაგებითა და სიყვარულით ცხოვრობს. გულს უხარებს დისა და დისშვილის ბედნიერება.

ბედნიერება ვუსურვოთ შემოქმედ ადამიანს, სურვილებისა და კეთილი ზრახვების განხორციელება.

ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲐ

ივანე მაჭავარიანი: პრეზიდენტის ინსტიტუტისთვის ბიუჯეტიდან იმდენი თანხა გამოიყოფა, რომ ის არათუ დასუსტდეს, არამედ, გაძლიერდეს

პრეზიდენტის ინსტიტუტისთვის ბიუჯეტიდან გამოიყოფა იმდენი თანხა, რომ არათუ დასუსტდეს, არამედ, გაძლიერდეს, — ამის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა ჟურნალისტებს განუცხადა.

რაც შეეხება პრეზიდენტის სარეზერვო ფონდს, მაჭავარიანის შეფასებით, სარეზერვო ფონდი პრეზიდენტის უფლებამოსილებასთან კონფლიქტში მოდიოდა.

„სარეზერვო ფონდი პრეზიდენტის დღევანდელ უფლებამოსილებასთან კონფლიქტში მოდიოდა, რადგან მთავრობის თუ პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი ძირითადად იქმნება ისეთი მოვლენების დასაფინანსებლად, რომლის განჭვრეტა დასაწყისში ძნელია. შესაბამისად, ბიუჯეტის დაგეგმვა არის რთული, მაგალითად, არის სტიქიური მოვლენები, შეიძლება იყოს ძალიან კარგი მოვლენებიც პირობითად, ჩვენმა სპორტსმენებმა იმაზე მეტი ოლიმპიური მედალი მოიტანეს, ვიდრე ჩვენ წარმოგვედგინა და შეიძლება ამისთვის იყოს გამოყენებული. ანუ თუ დააკვირდებით, ეს არის აღმასრულებელ ხელისუფლებასთან დაკავშირებული მოვლენები. ამ შემთხვევაში, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი არარელევანტურია მის დღევანდელ უფლებამოსილებასთან“, — განაცხადა მაჭავარიანმა.

რაც შეეხება პრეზიდენტის ადმინიტრაციის ხარჯებს, როგორც ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, გამოიყოფა იმდენი თანხა, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი არათუ დასუსტდეს, არამედ გაძლიერდეს.

„ბიუჯეტის დღევანდელ ვერსიაში არის თანხა გამოყოფილი და კონულტაციები გაგრძელდება ამ მიმართულებით. რა თანხაც იქნება საჭირო თანამშრომლებისთვის, მოგზაურობისთვის, ეს ყველაფერი იქნება ბიუჯეტით გათვალისწინებული“, — განაცხადა ივანე მაჭავარიანმა.

ზუგდიდში მოქალაქეებს თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა გააცნეს

ზუგდიდის ტექნოპარკში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ მსოფლიო ბანკის პროექტის „ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის“ (GENIE) ფარგლებში თანადაფინანსების გრანტების პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა. პროგრამის მიზანია საქართველოში საერთაშორისო პოტენციალის მქონე ინოვაციური პროდუქტების და მომსახურების შემუშავება-ათვისების და ინოვაციური საწარმოების წარმოქმნის სტიმულირება.

„ძალიან საინტერესო შეხვედრა გაიმართა. ეს არის უნიკალური შესაძლებლობა თითოელი სამეგრელოში მცხოვრები ადამიანისთვის, თუ მათ აქვთ გლობალური, მაღალტექნოლოგიური და ინოვაციური პოტენციალის მქონე სტარტაფ ბიზნეს იდეა, შემოიტანოს განაცხადი და მიიღოს 100 000 ლარამდე საგრანტო დაფინანსება“, — აღნიშნა ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ავთანდილ კასრაძემ.

GENIE პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის, რომელიც განკუთვნილია დამწყები/ორ წლამდე კერძო, მცირე საწარმოებისთვის. საგრანტო კონკურსისთვის განკუთვნილი მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს ორ მილიონ ლარს. მოთხოვნილი გრანტის მაქსიმალური ოდენობა კი არ უნდა აღემატებოდეს ასი ათას ლარს.

თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ტექნოლოგიაზე დაფუძნებული პროექტები-საქმიანობები, გარდა სამხედრო, ბირთვულ ტექნოლოგიებთან, სპირტის და სპირტიანი სასმელების, თამბაქოს, და სახიფათო ნივთიერებების წარმოებისა.

ფინანსთა სამინისტრო — საბანკო ბაზებში შესაძლოა, გარდაცვლილების დავალიანებაზე მონაცემები იყოს, რადგან მოვალის გარდაცვალება ვალდებულების შეწყვეტას არ იწვევს

ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, ბაზებში შესაძლებელია იყოს მონაცემები გარდაცვლილ პირთა სასესხო დავალიანების შესახებ, რადგან მოვალის გარდაცვალება ავტომატურად არ იწვევს ვალდებულების შეწყვეტას სასესხო ურთიერთობებში. ასე პასუხობს სამინისტრო ბრალდებებს და აჟიოტაჟს იმასთან დაკავშირებით, რომ საბანკო და საფინანსო დაწესებულებების მონაცემთა ბაზებში შესაძლებელია იყოს მონაცემები გარდაცვლილ პირთა სასესხო დავალიანების შესახებ.

„საბანკო და საფინანსო დაწესებულებების მონაცემთა ბაზებში შესაძლებელია იყოს მონაცემები გარდაცვლილ პირთა სასესხო დავალიანების შესახებ, რადგან მოვალის გარდაცვალება ავტომატურად არ იწვევს ვალდებულების შეწყვეტას სასესხო ურთიერთობებში, თუ მხარეები ხელშეკრულებაში სხვაგვარად არ არიან შეთანხმებული.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ფიზიკური პირის გარდაცვალების შემთხვევაში, მის სამკვიდრო ქონებაში შედის მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებები, ისე მოვალეობები, რომელიც მას სიკვდილის მომენტისათვის ჰქონდა.

ამასთან, მემკვიდრეები ვალდებულნი არიან, მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მემკვიდრეობით მიღებული აქტივის ფარგლებში“, — განმარტავენ სამინისტროში.

ივანე მაჭავარიანი ვალების განულებაზე: წარსულს უნდა ჩაბარდეს დაზარალებული ადამიანების სია და ყველაფერი ახალი ფურცლიდან დავიწყოთ

ვალების განულების ინიციატივა არის უპრეცედენტო და ძალიან დიდი ნაბიჯი სოლიდარობისკენ, — ამის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც მაჭავარიანმა აღნიშნა, წარსულს უნდა ჩაბარდეს დაზარალებული ადამიანების სია და ყველაფერი ახალი ფურცლიდან უნდა დავიწყოთ.

„ეს არის ერთჯერადი აქტი და წლების განმავლობაში შექმნილი არასწორი და არასამართლიანი წესების შეცვლასთან ერთად, რასაკვირველია, წარსულს უნდა ჩავაბაროთ, ამ არასწორი წესების დროს დაზარალებული ადამიანების სიაც, ყველაფერი ახალი ფურცლიდან უნდა დავიწყოთ. ზოგიერთი ადამიანი „ასქრინშოტებდა“, რომ 1500 ლარი ჰქონდა და გაუხდა 44 ათასი, ზუსტად ასეთი წარმოუდგენელი ჯარიმები, წარმოუდგენელი პროცენტების ოდენობა იყო არარეალისტური, თავად საფინანსო ორგანიზაციებიც ხვდებოდნენ, რომ ამ ფულს ვერ ამოიღებდნენ, უბრალოდ, წევდნენ ამ ჯარიმებს. მერე სასამართლო მორიგება ხდებოდა და ისევ დაბალი თანხით რიგდებოდნენ, რაც თავისთავად არ იყო ჯანსაღი მოვლენა. ზუსტად ეს უნდა ჩავაბაროთ წარსულს“, — განაცხადა მაჭავარიანმა.

რაც შეეხება სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პროცესში ჩართვას, როგორც ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, ყოველდღიურ რეჟიმში მატულობს, როგორც ორგანიზაციები ვინც შემოუერთდნენ, ასევე იმ ბენეფიციართა რიცხვი, ვისაც ვალი ჩამოეწერება. შესაბამისად, რეალურ დროში ხედავთ ამ ცვლილებებს და ყველა ის ორგანიზაცია, ვისთანაც წინასწარი მემორანდუმები გაფორმდა, პროცესში ჩაერთვება“, — განაცხადა ივანე მაჭავარიანმა.

სოფელ რუხში ჩასახლებული დევნილები: გვაწვიმს, არ ვიცით, სად წავიდეთ

ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში, „ატეკის" ყოფელ შენობაში ჩასახლებული დევნილები ადგილობრივი ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვენ. მათი თქმით, შენობას, დაახლოებით, 10 დღის წინ ძლიერმა ქარმა სახურავი გადახადა და მისი ბოლომდე შეკეთება ვერ მოხერხდა. კომპაქტურ ჩასახლებაში სულ 13 ოჯახი ცხოვრობს, მათ შორის, მცირეწლოვანი ბავშვები.

„იყო კომისია მოსული და თქვეს, რომ ამის ნაწილობრივ შეკეთება არ გამოვა, მთლიანად არის სახურავი შესაცვლელიო. შემდეგ დაიწყეს მუშაობა, მაგრამ ვერ მოასწრეს, წვიმები დაიწყო. ახლა ოთახებში ისე წვიმს, როგორც გარეთ. მცირეწლოვანი ბავშვით ხელში დავდივართ ოთახიდან ოთახში, სად წავიდეთ, არ ვიცი", — ამბობს აფხაზეთიდან დევნილი სალომე ფაცია.

დევნილები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების ადგილზე მისვლას და პრობლემის მოგვარებას ითხოვენ.

ზუგდიდის მერიაში ამბობენ, რომ აღნიშნული პრობლემის შესახებ ინფორმირებულები არიან და ვითარების შესასწავლად ჯგუფი უკვე გავიდა, რომელსაც მერის მოვალეობის შესრულებელი მაიზერ ნანავა ხელმძღვანელობს.

30 ნოემბერს ძლიერმა ქარმა სამეგრელო-ზემო სვანეთის რამდენიმე მუნიციპალიტეტი მნიშვნელოვნად დააზარალა. სამეგრელოში ძლიერი ქარით გამოწვეული ზარალის ოდენობა 7 მილიონ ლარს აღემატება. სტიქიამ რეგიონის მასშტაბით 698 საცხოვრებელ სახლს სრულად, ან ნაწილობრივ გადახადა სახურავი. რაც შეეხება საბავშვო ბაღების, სკოლებისა და დევნილთა კომპაქტური ჩასახლებების რაოდენობამ 31-ს მიაღწია.

ანაკლიის პორტის მშენებლობის პირველი წლის ანგარიში

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა" და „ანაკლია სითიმ" ღრმაწყლოვანი პორტისა და სპეციალური ეკონომიკური ზონის მშენებლობის პირველი წლის შემაჯამებელი პრეზენტაცია გამართა.

ანაკლიის პროექტის შემაჯამებელ პრეზენტაციას საჯარო და კერძო უწყებების, ბიზნეს წრეების წარმომადგენლები თუ საუკუნის პროექტის მშენებლობითა და პროგრესით დაინტერესებული პირები დაესწრნენ. ანაკლიის პორტისა და ანაკლია სითის მენეჯმენტმა ერთი წლის მანძილზე ჩატარებული სამუშაოების ანგარიში წარმოადგინა და პროექტის განვითარებისა და მშენებლობასთან დაკავშირებულ გეგმებზე ისაუბრა.

„ანაკლიის პორტი უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისთვის. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ გაგვაჩნია დიდი ფინანსური ინსტიტუტების და გავლენიანი წრეების საერთაშორისო მხარდაჭერა, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის როგორც რეგიონალურ, ასევე გლობალურ მნიშვნელობას", — განაცხადა ანაკლიის პროექტის თანადამფუძნებელმა ბადრი ჯაფარიძემ.

შეხვედრაზე 2019 გეგმებზეც ისაუბრეს. იანვარში სრულდება ტენდერი, რომელშიც წამყვანი საერთაშორისო კომპანიები მონაწილეობენ და მალე ცნობილი იქნება ანაკლიის პორტის გენერალური კონტრაქტორის ვინაობაც.

„საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა შავ ზღვაზე, რომელსაც არ გააჩნია ღრმაწყლოვანი პორტი და შავ ზღვაზე შემოსული საკონტეინერო გემების 75 % შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო ვერ შემოდის საქართველოში. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი უზრუნველყოფს ჩვენი დერეფნის კონკურენტუნარიანობას და ჩვენი ქვეყანა შეძლებს მაქსიმალურად გამოიყენოს ის ეკონომიკური ღირებულება, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო გააჩნია", — განაცხადა „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის" გენერალურმა დირექტორმა ლევან ახვლედიანმა.

შეხვედრაზე დეტალურად განიხილეს, როგორი იყო ანაკლიის პორტის მშენებლობის პირველი წელი, როგორ ვითარდება საუკუნის პროექტი და როგორია სამომავლო გეგმები.

„ანაკლიის სპეციალური ეკონომიკური ზონა იქნება აბსოლუტურად ინტეგრირებული სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებთან. აქ ერთმანეთს დაუკავშირდება პორტი, რკინიგზა, გზა და ის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას შეასრულებს როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე ოპერაციული კუთხით. ეს იქნება პირველი თანამედროვე და ერთიანი თავისუფალი საბაჟო ზონა, რომელიც იდეალურ პლატფორმას შესთავაზებს კლიენტებს ლოგისტიკის ბიზნესის, საბითუმო ვაჭრობის, ელექტრონული კომერციის, მსუბუქი მრეწველობისა და რე-ექსპორტის საქმიანობისათვის" — აღნიშნა „ანაკლია სითის" აღმასრულებელმა დირექტორმა ქეთი ბოჭორიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მასშტაბური საზღვაო სამუშაოები 2018 წლის 16 სექტემბერს დაიწყო. მთლიანობაში, პირველი ფაზის განმავლობაში, რომლის საინვესტიციო ღირებულება 600 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, პორტის სამუშაოებზე 1500 ადამიანის დასაქმებაა გათვალისწინებული.

პორტის პირველი ფაზის გახსნა და გემების მიღება 2020 წლის ბოლოდან იგეგმება.

მილოცვა

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაციის სახელით 60 წლის იუბილეს ვულოცავთ ცნობილ ჟურნალისტს, საზოგადო მოღვაწეს და ჩვენი მოძრაობის დიდ მეგობარს, ბატონ ლადო ქირიას.

ვუსურვებთ მას ხანგრძლივ სიცოცხლეს და წარმატებებს სამშობლოს საკეთილდღეოდ გარჯაში!

ზურაბ კვარაცხელია
და გაზეთ „ილორის"
შემოქმედებითი კოლექტივი

ზურაბ კვარაცხელია

მილოცვა



ზურაბ კვარაცხელია

ზუსტად 55 წლის წინ, ახალი წლის პირველ დღეს მოევლინა ქვეყანას ბატონი ზურაბ კვარაცხელია. ბატონმა ზურაბმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საკუთარი ერის სიყვარულს შეალია, საფიცარ სამშობლოს ემსახურა და ემსახურება. ის სრულად ახალგაზრდა გადაეშვა ეროვნული მოძრაობის მორევში. ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას იდეების მტკიცე, ურყევი და ერთგული დამცველი. ძალიან ძნელი იყო ეს გზა. 1987 წელს იგი ხდება „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" წევრი, დაპირისპირების გამო ტოვებს საზოგადოებას, ამავე მიზეზით-ტოვებს ედპ-ს „მეოთხე დასის" სოხუმის ფილიალს.

1989 წელს, აფხაზეთში, ეროვნული მოძრაობის ერთერთი ლიდერის — ვოვა ვეკუას დაბადების დღეს, ზურაბ კვარაცხელიას ხელმძღვანელობით ფუძნდება ორგანიზაცია „თავისუფალ დემოკრატთა კავშირი", რომელშიც ზურაბ კვარაცხელია აქტიურად მონაწილეობს. იგი ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას გადაწყვეტილებით, ხდება „ეროვნული ხსნის კომიტეტის" წევრი. 1990 წლის მარტში ზურაბ კვარაცხელია „თავისუფალ დემოკრატთა კავშირის" ბაზაზე სოხუმში, თანამოაზრეებთან ერთად აფუძნებს „ჰელსინკის კავშირის ეროვნული აღორძინების ცხუმ-აფხაზეთის ორგანიზაციას".

საქართველოში დატრიალებული პუტჩის დღეებში აფხაზეთში იწყება მძლავრი საპროტესტო მოძრაობა, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლდათ ზურაბ კვარაცხელია.

სოხუმში იქმნება იატაკქვეშა კომიტეტი და სწორედაც ეს კომიტეტი ზუგდიდში ჩამოყალიბებულ სრულიად საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტში მიავლენს ბატონებს: ზურაბ კვარაცხელიას, ანზორ გვარამიასა და პეტრე ნაჭყებიას (დანარჩენი წევრები გახლდნენ: ზაურ ქობალია, მერაბ ჩუხუა, ვახტანგ ჭითავა, ვალერი გაბელია, ზურაბ გუჩუა, გია მამფორია, გურამ მაქაცარია და სხვები).

1993 წლის მაისში ზურაბ კვარაცხელია, ზვიად გამსახურდიას რეკომენდაციით არჩეულ იქნა „მრგვალი მაგიდის" ინდივიდუალურ წევრად. ეს კი უპრეცენდენტო შემთხვევა იყო.

ზურაბ კვარაცხელიამ რთული, წინააღმდეგობებით სავსე გზა გამოიარა, კაცურად იარა.

ზურაბი დაუცხრომლად, დაუღალავად იბრძოდა პუტჩისტების წინააღმდეგ, კანონიერი პრეზიდენტის დაბრუნებისათვის, საქართველოს მთლიანობისათვის. გამოდიოდა მიტინგებზე, საჯარო დემონსტრაციებზე, მამხილებელი, უშიშარი სიტყვებით. იგი გაზეთ „აღდგომის" ერთ-ერთი დამფუძნებელია. ავრცელებდა კიდეც, თუმცა გავრცელებაც არ სჭირდებოდა, გაზეთს გამოსვლისთანავე იტაცებდნენ. იმხანად, ის იყო უმნიშვნელოვანესი გაზეთი, რომელიც იცავდა კანონიერი პრეზიდენტის უფლებებს, ერთიანი, თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს ინტერესებს.

ზურაბ კვარაცხელია საქართველოს ჰელსინკის კავშირის ყრილობაზე არჩეულ იქნა „კავშირის" გამგეობის და პოლიტიკური საბჭოს წევრად.

ბატონი ზურაბი ყოველთვის იყო და არის აფხაზთა და ქართველთა დაპირისპირების მოწინააღმდეგე და მოძმე, ხალხს შორის პრობლემური საკითხების მშვიდობიანი გზით მოგვარების მომხრე.

2001 წლიდან ზურაბ კვარაცხელია არის სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" წევრი-უკანასკნელ წლებში ამ „მოძრაობის" კოორდინატორი „სამარგალოს" რეგიონში.

2013 წელს ბატონი ზურაბ კვარაცხელია არჩეულ იქნა მეცნიერებათა აკადემია „აია"-ს აკადემიკოსად, იგი აქტიურად იბრძვის ქართველური ენების-მარგალურის, სვანურისა და ლაზურის დაცვისა და გადარჩენისათვის.

ბ-ნი ზურაბ კვარაცხელია, დიდი მამანტი ძაძამიას რეკომენდაციით არჩეულ იქნა „კოლხეთის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაცია „კოლხეთის" პრეზიდენტად.

ვუსურვებთ ბატონ ზურაბს ჯანმრთელობას და ბედნიერ ცხოვრებას ერთიან და დამოუკიდებელ საქართველოში.

ცირა ძაძამია
მამანტი ძაძამიას სახელობის მეცნიერებათა აკადემია „აია-ს" პრეზიდენტი;

ალეკო თოდუა
„ჰელსინკის კავშირის" ზუგდიდის ორგანიზაციის გამგეობის წევრი საერთო-სამეცნიერო აკადემია „ფაზისის" აკადემიკოსი, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას"- ვიცე პრეზიდენტი. მეცნიერებათა აკადემია „აია"-ს ვიცე პრეზიდენტი. ასოციაცია „კოლხეთის" ვიცე პრეზიდენტი

რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

რამდენიმე დღეში ახალი 2019 წელი შემოდგამს ფეხს. ჩვენ ვულოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს სრულიად საქართველოს და განსაკუთრებით „ილორის“ მკითხველს. ბევრი ვიფიქრეთ როგორ მოგველოცა და უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრეთ ვიდრე წმინდა ილია მართალის (ჭავჭავაძე) ეს უკვდავი სიტყვებია.



აჰა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი... რა მოვულოცოთ ჩვენს თავს, ქართველნო? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვებოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ? უკან მივიხედავთ ამ ახლო ხანებში და ისეთი არა გვრჩება რა, რომ თავი მოვიწონოთ ან ნანვითა ვთქვათ: „ჰოი, წამო სიხარულისავ, ესე სწრაფად სად წახვედი!“ წინ ვიყურებით და ხვალინდელის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულის ადგილსავე დაგვრჩეს, ან ნატვრით ვთქვათ: „მოვიდინ, დღეო სიხარულისაო!“ რა გითხრათ, რით გაგახაროთ?

ნუთუ ისევე ძველებურადვე თავი უნდა დაგიკრათ და მოგახსენოთ: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი...“ სულ წყალობა ღვთისა და წყალობა ღვთისა, ერთხელ ჩვენ თვითონაც თითი გავძრათ. ერთხელ ჩვენ თითონაც მივდგეთ-მოვდგეთ. წყალობა ღვთისა კარგია, მაგრამ რა ქმნას მარტო წყალობამ, თუ ღვთის მიერ ნაწყალობებს თითონ ადამიანი არა ჰრწყავს, არა სხლავს, არა ჰფურჩქნის, არ უვლის, არ ჰპატრონობს. ღმერთმა, რაც წყალობა იყო, უკვე მოიღო ჩვენზე. დანარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამაო. რა კაცობა გამოვიჩინეთ? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ჩვენთვის ღმერთს არა დაუშავებია რა, არა დაუზოგვია რა, არა დაუკლია რა; თუ ქვეყანაზე ერთი-ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს - ქრისტე ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ დაიბერტყაო, იმათში უკანასკნელი საქართველო არ არის. რაც ღვთის შემძლეობით არის და არა კაცისათი, ის ყველაფერი უკვე მოგვმადლა ღმერთმა. ხელთ გვიჭირავს ეს მშვენიერი ქვეყანა, რომლის მნახავთ შეუძლიათ სამართლიანად სთქვან: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“. ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი ადნება... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მინა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ, ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება. ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულის-თქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, დღეს მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარ სურვილისამებრ. ვართ კი ასეთნი? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით. შევინახეთ ჩვენი თავი, შევინარჩუნეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგ-თემურებმა ჩვენს საკუთარ სისხლში გვბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილშვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვჟლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით. მოვშენდით, წელში გავსწორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულოს და დროშა ქართველებისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ახლა ჩრჩილმა შესჭამოს, თაგვმა დაგვიჭამოს. დრო-ჟამი ამას გვიქადის... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი. და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავიწირეთ, ცოლშვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს — სამართლიანის თავმოწონებით ვეძახით. ცოდვა არ არის, ეს ერი მოსწყდეს; ცოდვა არ არის, ეს ლომი კოლომ საბუდრად გაიხადოს, ცოდვა არ არის, მელა-ტურამ გამოღრღნას, როგორც მძოვარი, როგორც ლეში. რათ? რისთვის? ვის რა ვირი მოვპარეთ? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ყველა ეს შევძელით და საკითხავად საჭიროა — რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლმთხეველნი მამულისათვის რამღა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით — იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე. მისი ფარხმალი, ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით, ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა... იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. „სილბო გვქონდა ნაქსოვისა“ — ვით ქრისტიანებს „და სიმტკიცე ნაჭედისა“ — ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი. დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობდა და გამრჯელობა. წავიდა ის დრო: დაჩლუნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟკაცობა, ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, აღარაფრის მაქნისია; ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მართუ-ლები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეთა მძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულით და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენითა. გვჭირს-კი დღეს რომელიმე ეს დროთა შესაფერი სიკეთე? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ხმლიანმა მტერმა ვერ დაგმათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მინა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელით, გადავრჩით, ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა — შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვწყვეტს. სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ. ვართ კი ყოველ ამისთვის მზად? ან გვეტყობა რაშიმე, რომ ყოველივე ეს ვიცით და ვემზადებით?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა. უბუკ-ნაღაროდ სთესავს, უბუკ-ნაღაროდ მკის. კოკისებურ შხაპუნა ნიაღვარს კი არ ჰგავს, რომ მთა და ბარი თან წაიღოს, მოარღვიოს, მოღაროს და მოგრაგნოს, „მდუმარე წვიმისაებრ ნაყოფის გამომცემელია“. არც რბევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არა სწერია, თუ თვითონ ადამიანმა გესლი ულმობელის სიხარბისა შიგ არ ჩააწვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა. ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა — პატიოსანია, ნამუსიანია და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო, — იტყოდა გლეხკაცი თავისებურად ზედგამოჭრით, თუ მართალს ათქმევინებთ. რა გლეხკაცი, თითონ დღევანდელი დღე ამას გვეუბნება, ამას ჰღაღადებს და ჩვენ გვესმის კი ეს ღაღადი? ვაი რომ არა. მაშ რა გითხრათ, რით გაგახაროთ?

არ ვიცით — რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ — რანი ვართ, ვერ გამოგვისახია — რანი ვიქნებით. ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების წინ და აინუშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვკრან — და შინ გადავიჩეხებით დედაბუდიანად. ორბი, არწივიც კი ველარ გვიპოვის, ველარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოხრან, გამოსწიწკნონ, ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო. ვდგევართ და უღონოდა ვბზუით „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ და ამ ბზუილიდან არა გამოდისრა. იქნება იმიტომ, რომ ყველა ბუზი კი ბზუის, ფუტკართან კი ყველა ტყუის.

ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილე, ყურებიდან ბამბა გამოგვაცალე, ფუტკრისგან გვასნავლე დროთა შესაფერი სამამაცო ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვს: რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

1887 წ. 31 დეკემბერი

არ ვიცით — რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ — რანი ვართ, ვერ გამოგვისახია — რანი ვიქნებით. ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების წინ და აინუშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვკრან - და შინ გადავიჩეხებით დედაბუდიანად

ლევან II დადიანი – «კაცი ამაყი, ულმობელი, ნიჭიერი პოლიტიკოსი და უებრო მხედართმთავარი»

არაორდინალური, წინააღმდეგობებით აღსავსე ლევან II დადიანი, თავისი ეპოქისთვის დამახასიათებელი ყველა უარყოფითი და დადებითი თვისებით გახლდათ შემკული. მიუხედავად ბევრი შეცდომისა მან მოახერხა და ისტორიაში შევიდა როგორც ნიჭიერი პოლიტიკოსი და მამაცი მხედართმთავარი.

ლევანი იზრდებოდა კახეთში, თავისი პაპის, ალექსანდრე II–ის ოჯახში. სადაც შაჰ–აბასის მუხანათური პოლიტიკის სისტემას ის პატარაობიდან ეცნობოდა. კახეთის მეფის კარზე პოლიტიკური გავლენის მოსაპოვებლად იბრძოდნენ ოსმალეთის და მოსკოვის მეფის დიპლომატები. გაბატონებული იყო თვალთმაქცობა, მლიქვნელობა და ყოველგვარი სიბოროტე. ასეთ პირობებში აღზრდილ ლევან დადიანსაც ახასიათებდა ცბიერება და სიმკაცრე, რაც იმ ეპოქის პოლიტიკური ბრძოლის ერთ–ერთ საშუალებად იყო მიჩნეული. ამიტომ ვახუშტი ბატონიშვილი ლევანს საკმაოდ მწარე სიტყვებით მოიხსენიებს — ბოროტი, ამაყი, მზაკვარი და ძვირის–მომხსენეო ამბობს. მაგრამ ამასთანავე ლევან დადიანი იყო ნიჭიერი მთავარი, უშიშარი და მტკიცე ნებისყოფის ადამიანი, რომელიც კარგად ერკვეოდა იმდროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში და მოხერხებულად იბრძოდა თავისი სამთავროს გაძლიერებისათვის იმ ხერხებითა და საშუალებებით, რომელიც მაშინ იყო გამოყენებული.

1611 წელს, ნადირობისას, მამამისი უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა და 14 წლის ლევანს ოდიშის მთავრის მოვალეობის შესრულება მოუხდა. ამ თანამდებობას იგი სიკვდილამდე ანუ 46 წლის მანძილზე იკავებდა. ლევანს მისი თანამედროვე იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი ასე ახასიათებს: „ეს მთავარი ჩვენს განათლებულ ქვეყანაში რომ აღზრდილიყო და ჩვენის საუკეთესო მასწავლებლებისაგან რომ სწავლა–განათლება მიეღო, ვერც ერთი მთავარი მას ვერ აჯობებდა. უმოძღვროდ და უოსტატოდ, მხოლოდ ბუნებით შეუთვისებია მას მარად საქებური ზნე ჩვეულება. უსაქმურად მისი ნახვა შეუძლებელია. პირიქით მუდამ დაუღალავად შრომობს და ყოველთვის მზად არის ყოველგვარის ვარჯიშობისათვის. ლაშქრობაში ჩქარია, ჩუმი და მხნე. ამიტომ ყოველ ომში იგი იმარჯვებს.“

გაძლიერებული ლევანი თავის თავს ხელმწიფესა და მეფეს უწოდებდა. მისი ოცნება იყო იმერეთის სამეფოს დაპყრობა, დასავლეთ საქართველოს თავისი მფარველობის ქვეშ გაერთიანება და მეფობის მიღება. ამიტომ ლევანი დიდ ყურადღებას აქცევდა სამხედრო ძლიერების შექმნას. მან გაიჩინა არტილერია, ჩამოასხმევინა „ერთს ფრანგს“ 30 ზარბაზანი. შეიძინა თოფები, წვრთნიდა მოლაშქრეებს.

ოდიშში მან ალაგმა ურჩი თავადები, აღკვეთა ქურდობა, განამტკიცა მართლ–მსაჯულება და ამგვარად დაამყარა მტკიცე მმართველობა. ზუგდიდში ლევანმა განმართა ზარაფხანა და აქ იჭრებოდა სპარსული ფული. იგი ხელს უწყობდა სამთავროს ეკონომიკურ დაწინაურებას და ვაჭრობისა და ხელის შეწყობის მიზნით რუხში დაასახლა სომეხი და ებრაელი ვაჭრები.

საგარეო საქმეში ლევანი აწარმოებდა ისეთ მოხერხებულ პოლიტიკას, რომ მას ოსმალეთ–ირანისაგან საფრთხე არ მოელოდა. ლევან დადიანმა დაიწყო მოსკოვის მეფე მიხეილ თეოდორეს ძესთან დიპლომატიური მოლაპარაკება რუსეთის მფარველობის შესახებ. 1626 წელს მოსკოვში ელჩად გაგზავნილი ვინმე გაბრიელი, რუსთა მეფეს არწმუნებდა, რომ ლევანი საქართველოში ყველაზე ძლიერია, იგი ხარკს არავის აძლევს და მის სამთავროში ხუთი ქვიტკირის ქალაქიაო. მან დააარსა საოქრომჭედლო სახელოსნო, საიდანაც ქართული ჭედურობის მრავალი საინტერესო ნიმუში გამოვიდა. მანვე შეაკეთა და შეამკო ოდიშის თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერი.

ლევან II დადიანს კარგად ესმოდა ქვეყნის ევროპული გარდაქმნის აუცილებლობა; იგი ოდიშის სამთავროში იწვევდა ევროპელ ვაჭრებს და ხელოსნებს. ცდილობდა ირანული აბრეშუმი საქართველოს გზით გასულიყო ევროპაში.

ლევანმა ვალებიდან გამოიხსნა იერუსალიმის ჯვარის მონასტერი და მისი რესტავრირებისათვის საჭირო თანხებიც გაიღო, მანვე გადააწერინა მამუკა თავაქარაშვილს რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ამჟამად პოემის უძველეს თარიღიან ხელნაწერს წარმოადგენს.

ლევანის მოღვაწეობის წლებში იქმნებოდა დიდი რაოდენობით ეპიგრაფიკული ძეგლები. მართალია, პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ლევანი ხშირ შემთხვევაში ულმობლობას იჩენდა, მაგრამ მას მაინც სამართლიანად მიიჩნევენ დიდ ქართველად, რადგან ოდიშის განვითარებითა და მისი კულტურული საგანძურის შენარჩუნებით სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული. ეკონომიკის მოდერნიზაციის გარდა, იგი ისტორიული ხელნაწერების კონსერვაციითაც იყო დაკავებული და მრავალ ახალ მშენებლობასაც აფინანსებდა. მას სიყვარულით მოიხსენიებენ იმის გამოც, რომ წყაროებთან ოქროსა და ვერცხლის თასებს დებდა, რათა წყალი ყველას ამ ძვირფასი სასმისებიდან დაელია. საინტერესოა, რომ არავის არასოდეს გაუბედავს მათი მოპარვა.

გიორგი მარგველაშვილმა ინაუგურაციის ცერემონიალზე «მიმავალი პრეზიდენტის» როლი განსაზღვრა

პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ბრძანებულებაში, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის წესს ადგენს, ცვლილება შეიტანა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ცვლილებები „თანამედროვე კონსტიტუციურ რეალობას ასახავს“. ცვლილებები საკანონმდებლო მაცნეში დღის ბოლოს გამოქვეყნდება.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არ აკონკრეტებენ, რა ჩაიწერა ბრძანებულებაში, თუმცა ერთ-ერთი ცვლილებით, გიორგი მარგველაშვილმა მომავალი პრეზიდენტის ინაუგურაციაზე მიმავალი პრეზიდენტის როლი განსაზღვრა. ცვლილება შევიდა დამსწრე პირთა სიაშიც.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის ინაუგურაციის წესში, ამ დრომდე მიმავალი პრეზიდენტის როლი განსაზღვრული არ იყო.

„პრეზიდენტის ინაუგურაციის წესში შევიდა ცვლილება, რომელიც გაწერილი იყო 2001 წელს. ამის შემდეგ საქართველოს კონსტიტუცია რამდენჯერმე შეიცვალა, ეს წესი იყო ძალიან მოძველებული და ვერ ასახავდა კონსტიტუციურ რეალობას. ამიტომ ეს ცვლილება მოვიდა შესაბამისობაში დღევანდელ კონსტიტუციურ რეალობასთან და ასევე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ის პრეცედენტი, რომელიც შეიქმნა პრეზიდენტ მარგველაშვილის და ახალარჩეული პრეზიდენტის შეხვედრით, განმტკიცდა ამ წესში, სადაც გაიწერა უკვე მიმავალი პრეზიდენტის ფუნქცია და როლი ინაუგურაციის პროცესში, როდესაც ხდება ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადება. ეს ცვლილებაც გაგრძელებაა იმ ნაბიჯისა, რომელმაც ამ ქვეყნის ისტორიაში შექმნა პირველი პრეცედენტი, როდესაც მიმავალი პრეზიდენტი ცივილიზებულად გადააბარებს უფლებამოსილებას ახალარჩეულ პრეზიდენტს“, — განაცხადა საკითხის კომენტირებისას პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ანა ნაცვლიშვილმა.

სასწაულმოქმედი პრეპარატები «დომენტოლი» და «გაგენოლი» მუდამ იქნებიან თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტულ სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში. C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.

კოორდინატები: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო „ისანთან“), ყოველდღე — 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51; 593-62-28-48

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან



ტრადიცია

ისევე როგორც საქართველოს კუთხეები, მათი ტრადიციებიც მრავალფეროვანი და საინტერესოა. საახალწლო რიტუალები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა ნებისმიერი მათგანის მიზანი ერთია.

ტრადიციის თანახმად, მოზეიმეები დღესასწაულს ისე უნდა შეხვდნენ, რომ ახალმა წელიწადმა თითოეულ ოჯახს ბედნიერება, ჯანმრთელობა, ხვავი, ბარაქა, სიკეთე და სიხარული მოუტანოს.

სამეგრელოში ახალ წელს კალანდობას უწოდებენ და თოფების სროლით ეგებებიან.

ახალი წლის დილას ოჯახის უფროსი სახლიდან გარეთ გადის, ხელში მორთული ჩიჩილაკი უჭირავს და რიტუალს ატარებს, რის შემდეგაც სახლში შემოდის, ჩიჩილაკს კუთხეში მიაყუდებს და საახალწლო ტაბლას მიუჯდება, რომელზეც ღორის თავი, ხაჭაპურები, ხილი და სხვ სანოვაგე ალაგია. საუზმის დაწყებამდე მეკვლე ოჯახის ყველა წევრს ტკბილეულით „დააბერებს“.

სამეგრელოში თხილისგან გამოთლილ ჩიჩილაკს ბამბითა და სათამაშოებით რთავენ, მის სიახლოვეს კი აუცილებლად ალაგებენ ხილს და ტკბილეულს, მოხარშულ გოგრას, ხაჭაპურს, ფელამუშს და ღვინოს. სამეგრელოში მეკვლეს დიდი სიფრთხილით წინასწარ ირჩევენ და ოჯახიც საგულდაგულოდ ემზადება მის დასახვედრად.

ISSN 1987-8966 „ილორი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 234-32-95

მთავარი რედაქტორი: ეკა ნასყიდაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით: gazeti-ilori@mail.ru (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ „ილორის“ გაცნობა შეგიძლიათ „საქინფორმის“ ვებგვერდზე www.saqinform.ge